წინასიტყვაობა და შესავალი

ბოლო წლებში ქოუჩინგი უფრო და უფრო მრავალფეროვანი გახდა, სხვადასხვა სფეროსთან მიმათებაში უამრავი მიდგომა განვითარდა. ქოუჩები განსხვავებული სფეროდან შეიძლება იყვნენ. საწყის ეტაპზე ქოუჩინგი “საიდუმლო მეცნიერებასავით” იყო მისი სპეციალური მეთოდებით. პროფესიონალი ქოუჩები საკუთარი მიდგომებით და საკუთარი პროცესის გაგებით დღესდღობით უფრო დაუფრო მოთხოვნადი ხდება.

დღესდღეობით რომელ იდეებს, დოკუმენტებს, დამხმარე საშუალებებს იყენებენ ქოუჩები? ინსტრუმენტების გამჭვირვალობა და ქოუჩინგის პროცესის დამხმარე საშუალებები საიდუმლო აღარაა. კლიენტებს, მომხმარებლებს და ა.შ შეუძლიათ ნახონ ის, თუ რას აკეთებენ ქოუჩები.

ის ინსტრუმენტები და მეთოდები, რას მე, როგორც ქოუჩმა, წლების განმავლობაში შევაგროვე და განვავითარე, დაეხმარება ქოუჩებს, მიაწვდის იდეებს და სამუშო პროცესში დახმარებას გაუწევს. ხოლო კლიენტმა შეიძლება წარმოდგენა შეიქმნას და ორიენტირებაში დაიხმაროს. კლიენტისთვის მხოლოდ ამ მეთოდების ცოდნა და მოსინჯვა საკმარისი არაა, პროფესიონალი ქოუჩი (მოსაუბრე პარტნიორი) არა მარტო პრობლემას ხედავს, არამედ, ვინაიდან მას ეს არ ეხება, უფრო ადვილად შეუძლია შეაფასოს და მიუდგეს სიტუაციას, ვიდრე კლიენტი, ვინც მოცემულ სიტუაციაშია.

ცენტრალური კითხვაა, რომელი მიდგომა უნდა ავირჩიო ქოუჩინგის პროცესისას? რომელი ხელსაწყოები და მეთოდები მჭირდება? ესენია:

- მოფიქრებული და მომზადებული მიდგომა,
- ფონის (backgoround) ცოდნა (ფსიქოლოგიური და საგნობრივი),
- ურთიერთობაში კავშირების გაგების უნარი (verstaendniss der beziehungssituation)
- ეთიკური მიდგომა

ქოუჩს მოცემული მასალა დაეხმარება უმეტესად ქუჩინგის პროცესში ოქროს სამკუთხედი დაიცვას: ეს ეხება ეთიკურ და პარტნიორულ საბაზისო ატიტუდს (Grundhaltung), კლიენტზე ორიენტირებულ და კლიენტისთვის კოგნიტიურ და ემოციურ, ასევე დამატებითი ასპექტების გამთლიანებას.

წიგნის შესახებ: გამოყენებული მეთოდების (თავი2) გვერდით აღვწერ ზოგად მოცემულობებს (ჩარჩოს), რომლებიც ქოუჩისთვის აუცილებელი წინაპირობებია (თავი 1.1), შემდგომ ინსტრუმენტების გამოყენების მიმართულებას (1.2), მინიშნებას ქოუჩინგის პროცესის შესაძლო განვითარებაზე (თავი 1.3), ასევე ძირითად ფიქრებს ემოციურ მხარესა და ქოუჩინგის პროცესის მთლიანობაზე (თავი 1.4).

ოცწლიანი გამოცდილებიდან მე, როგორც ქოუჩმა, ტრენერ-ქოუჩმა და ტრანზაქციული ანალიზის სპეციალისტმა ამ დრომდე დრომდე ოთხმოცდაცხრამეტი დამატებითი მეთოდი, ინსტრუმენტი და მიდგომა განვავითარე, რომელიც საკუთარ პრაქტიკაში დავნერგე. ქოუჩისთვის მრავალფეროვანი მეთოდებით შესაძლებლობები არამარტო იზრდება, არამედ აძლევს დამატებით სიცხადეს, რისთვისაა ესა თუ ის

ინსტრუმენტი, რომელი წინარე გამოცდილება და მიზნებია მეთოდთან კავშირში.

მკითხველს ვუსურვებ დამატებით სტიმულს ქოუჩინგში, მეთოდების წარმატებულ დანერგვას და აღწერილი ინსტრუმენტების დანერგვის პროცესში სიამოვნებას. სიამოვნებით მივიღებდი უკუკავშირს შემდგომი განვითარების მიზნით.

სანტ. პოლტენი, 2011 წლის დასაწყისი

ვერნერ ფოგელაუერი

1. როგორ ვიხელმძღავნელო წიგნით?

1.1 ძირითადი პირობები(ჩარჩო) ქოუჩისთვის

- რა არის ჩემი, როგორც ქოუჩის ორიენტირი?
- რას ელის კლიენტი ჩემგან?
- რაში მდგომარეობს მისი პრობლემა, რა არის მთავარი საკითხი?
- როგორ შემიძლია ქოუჩინგის შესაძლებლობებისა და მეთოდების გამოყენებით კლიენტს დავეხმარო?



სქემა1. მოცემულობები (ჩარჩო) ქოუჩისთვის

უპირველეს ყოვლისა, კლიენტთან ურთიერთობის დასაწყისშივე ყურადღებას ვამახვილებ მის **მიზნებსა და სამომავლო ხედვაზე**: რა მიზნები ამოძრავებს მას ჩემთან,როგორც ქოუჩთან მუშაობისთვის? დაასახელებს თუ არა პრობლემას, რისი შეცვლაც სურს, თუ მხოლოდ სიტუაციის აღწერით შემოიფარგლება და ჩემგან, როგორც სპეციალისტისგან მზა რეცეპტებს ელის; მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა ჯერ კიდევ არაა მისთვის ცხადი, ას ვთქვათ, გაუცნობიერებელია. მიზნები და მომავლის სურათები ნათელია არამარტო კლიენტისთვის, არამედ შემიძლია თუ არა მე მისი გაგება , მესმის თუ არა?

კლიენტთან მუშაობის დაწყებამდე, ჩემთვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად მზადაა იგი შინაგანად, შეცვალოს საკუთარი ქცევა, აზროვნების სტილი წარმოდგენები და აქტივობები. რამდენად მზადაა სწავლებისა და **ცვლილებებისთვის**, ანუ აჩვენებს თუ არა დამაჯერებლად, რომ მას ცვლილება უნდა თუ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია? ნამდვილად სჯერა, რომ რაღაცის შეცვლა შეუძლია; მისი რწმენა და ცვლილების სურვილი მხოლოდ ცარიელი სიტყვებით ხომ არ ამოიწურება?

მორიგი ქვაკუთხედი ქოუჩინგის წარმატებისთვის კლიენტის **პასუხისმგებლობაა.** მზადაა თუ არა, ყველა აქტივობაზე გადაწყვეტილება თავად მიიღოს, პრობლემის გადაჭრის გზები თავად მოიფიქროს, განახორციელოს, და შედეგებზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს? ქოუჩისგან ხომ არ ელის გამზადებულ მითითებებს, მეთოდებსა და პრინციპებს, ხოლო თვითონ მხოლოდ მიბაძვის სურვილს გამოთქვამს? იქნებ ქოუჩისგან ელის გადაწყვეტილებას ანდა რჩევას, თუ როგორ განახორციელოს იდეები, რომლებიც ქოუჩინგის პროეცესში დაებადა? ეს უკანასკნელი შემთხვევები ნაკლებად სახარბიელოა ქოუჩინგის საწყის ეტაპზე.

შემდეგი წინაპირობა ეფექტიანი ქოუჩინგისთვის კლიენტის **თვითრეფლექსიის უნარია**. რამდენად აყენებს ეჭვქვეშ საკუთარ ქცევას და აქტივობას, რამდენად შეუძლია მათი გაანალიზება?

ქოუჩინგის დროს გადამწყვეტია საბოლოოჯამში კლიენტის მიერ მიღებული ცოდნის, გადაწყევტილებების ტრანსფერი. ქოუჩინგი არის უწყვეტი გაცნობიერების, მომზადების/დაგეგმვის (vorbereiten), განხორციელების და უკვე რეალობაში

განხორციელებული შედეგის რეფლექციის პროცესი; რაც მომდევნო საუბრებში კიდევ უფრო განმტკიცდება, გაღრმავდება ანდა დაზუსტდება.

მნიშვნელოვანია განასხვავოთ: ვისთან გაქვთ ქოუჩინგი მმართველებთან თუ უბრალო თანამშრომლებთან? კლიენტის პრობლემა პირადულია თუ სამუშაო პრაქტიკასთანაა კავშირში გარემოსთანაა დაკავშირებული და მხოლოდ პრაქტიკულ გადაწყვეტას საჭიროებს? ყოველი ქოუჩინგის დროს, დიდ როლს თამაშობს სასწავლო ატმოსფერო ან გარემოში არსებული სწავლის კულტურა. თუკი კოლეგები და ხელმძღვანელები მხარს უჭერენ თქვენი კლიენტის მიერ ათვისებულ ახალ ქცევას და მზად არიან მას დახმარება აღმოუჩინონ საჭიროების შემთხვევაში, ეს ძლიერ ქოუჩინგს უფრო წარმატებულს გახდის. შემუშავებული გეგმისადმი გაუფასურების, წინააღმდეგობის გამო ხშირ შემთხვევაში განუხორციელებელი რჩება!

ქოუჩის ქცევასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს წვლილი შეიტანოს კლიენტის გეგმის წარმატებით განხორციელებაში. ქოუჩს შეუძლია თავისი კოჰერენტული (ჰარმონიული) ქცევით (მისი სიტყვა მის ქცევას შეესაბამება)კატალიზატორის გამაძლიერებელი(?) როლი ითამაშოს. თუ ის დამაზუსტებელ კითხვებს დასვამს (ე.წ. W კითხვები), ანდა თავისი პირადიგამოცდილებიდან მოიყვანს პოზიტიურ მაგალითს, ანდა გამააქტიურებლად მასტიმულირებლად, ანგაჟირებულად ჩაერთვება პროცესში, უშუალო გავლენას მოახდენს კლიენტის ცვლილებაზე. ამასთან კლიენტის პრობლემის დამცრობამ ანდა იმგვარი ზედაპირული ინფორმაციის მიწოდებამ („უბრალოდ ასე გააკეთეთ"...) განხორციელების პროცესზე შესაძლოა დესტრუქციულად იმოქმედოს.

ახლა კი მსურს განსაკუთრებით ქოუჩინგ-სამუშაოს სამ ფსიქოსოციალურ ასპექტზე გავამახვილო ყურადღება:

- **გარკვეული აქტივობისაგან თავის შეკავების გზით კლინტის მხარდაჭერა.** ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კლიენტი წავახალისოთ, უკვე დამუშავებული გეგმა(გამომუშავებული უნარი) რომ რეალურად განახორციელოს, ამ პროცესს იმპროვიზაციულად მიუდგეს, ექსპერიმენტი წამოიწყოს და დასკვნები გამოიტანოს შემდგომი რეფლექსიისათვის (ამის ნაცვლად მზამზარული რჩევების, მითითებების ნაადრევად მიცემა დაუშვებელია).

- **თავდაპირველად კლიენტის უნარებსა და იდეებზე გაამახვილოს ყურადღება.** მაშინაც კი როცა საამისო პირი არ უჩანს ქოუჩინგ საუბარს, მაგალითად კლიენტმა შეიძლება ამგვარი კიტხვები დასვას: „რა მეშველება შეიძლება გავაკეთო?“, „თქვენ რა თქმა უნდა უფრო გამოცდილი ხართ, იქნებ რამე მირჩიოთ?“ და ა.შ, მაინც შესაძლებელია თავიდანვე კლიენტის იდეებსა და უნარებზე გააკეთოთ აპელირება. როგორც ქოუჩს, მხოლოდ მოგვიანებით მაქვს უფლება მივაწოდო დამატებით იდეები და ალტერნატივები, რათა კლიენტს დამატებითი სამუშაოს სტიმული მივცეთ ? და გავამხნევებ (ვთხოვ) ჩემს კლიენტს, რომ შერჩეული მიმართულებით იმუშავოს.
- **შევინარჩუნოთ ფოკუსი მიზანზე, რომელიც პრობლემას გამომდინარეობს? შეეხება.** არის თუ არა იდეა ანდა გარკვეული ღონისზიება, მომავალში ამ პრობლემის/პრობლემური საკითხის გასაუმჯობესებლად მოსაგვარებლად მიზანშეწონილი? ქოუჩმაც შეიძლება გზას გადაუხვიოს/გზას ასცდეს და სრულიად სხვა საკითხს შეეხოს, ანუ კლიენტისთვის საჭირო საკითხს გასცდეს. ეს გადახრა შეიძლება კლიენტის ქცევითაც იყოს განპირობებული, ის შეიძლება უცებ სხვა თემაზე გადახტეს, ანდა ნაკლებადმნიშვნელოვანი საკითხები წამოწიოს წინა პლანზე (ერთგვარი გაქცევის მანევრი), ეს ნიშანდობლივი კიენტების გამონათქვამებით ხდება/ამას კლიენტის გამონათქვამებიც ცხადყოფენ; „ამ შემთხვევაში ვერაფრით დამეხმარებით“, „მოდით ეს შემდგომში განვიხილოთ“, „ამას სხვაგვარად აგიხსნით“ და ა.შ. ამგვარ ხრიკებით შეიძლება ქოუჩი ვერბალურ მოლიპულ ბილიკამდე მიიყვანოს.

რა **პირობები** ანდა **რესურსები** აქვს კლიენტის ორგანიზაციას ანდა თავად კლიენტს? ეს ნიშნავს მაგალითად, ქოუჩინგის პროცესში მიღებული გადაწყვეტილების განსახორციელებლად შეიძლება მას გარკვეული კომპეტენცია აკლდეს, ან შეიძლება ორგანიზაციაში ამ თემის ირგვლივ არსებობდეს სპეციფიკური მიმართულებები? არის თუ არა საკმარისი ფინანსური საშუალებები? სჭირდება თუ არა მას სპეციალური

დამხმარე საშუალებები ანდა მასალა მატერიალი, რომელიც თავისით დამოუკიდებლად არ შეუძლია მოიძიოს?

1.2. ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენება

წიგნში წარმოდგენილი მეთოდები, სავარჯიშოები და ინსტრუმენტები იწყება **თემატური სათაურით**, რომელიც სამუშაოს შინაარსზე წარმოდგენას გვიქმნის. მარჯვივ მოცემული ასოები **გამოყენების სფეროზე** მიანიშნებენ. ხოლო თავად გამოყენების სფეროები კი ქოუჩს მინიშნებას აძლევს, როდის რა შემთხვევაში გამოიყენოს ესა თუ ის მეთოდი, წიგნის ბოლოს შეგიძლიათ მეთოდების დასახელების სრული სიაც იხილოთ შესაბამისი გამოყენების სფეროებით.

მოთხოვნებით დასათაურებულ ველში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მკითხველს და პრაქტიკოს ქოუჩს წარმოდგენას უქმნის, თუ რა საგნობრივი და ფსიქოლოგიური ცოდნა და უნარია საჭირო შესაბამისი მეთოდის გამოსაყენებლად. ხანდახან შეიძლება საჭიროც იყოს, მეთოდის გამოყენებამდე, აღნიშნული მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ და გარკვეული მოსამზადებელი საფეხურები გავიაროთ შესაბამისი კომპეტენციების შესაძენად. კლიენტის სიტუაციამაც, როგორც პიროვნული ისე ორგანიზაციული კუთხით მიზეზი გახდეს(რა გჭირდებათ/გვჭირდება, რომ ამ მეთოდით ვიმუშავოთ?), გარკვეული გარანტიების (რისი გაკეთების უფლება არ გვაქვა არავითარ შემთხვევაში?), უკეთესი ჩართვისთვის გარკვეული აქტივობების შესათანხმებლად (რა აზრის ხართ პროცესზე? როგორ იგრძენით თავი ამ მეთოდით მუშაობის განმავლობაში?). ხსენებული პუნქტების გაუთვალისწინებლად ინსტრუმენტების გამოყენება ეთიკურობის, პროფესიონალიზმის და ეფექტიანობის კუთხით პრობლემურად მიმაჩნია.

„მიზნების“ ქვესათაურში წარმოდგენლილია რამდენიმე სავარაუდო შედეგი, რასაც შესაბამისი მეთოდის გამოყენებით მივაღწევთ. მოცემული საკითხები-პუნქტები ემყარება, როგორც პირად, ასევე ჩემი კოლეგების - პროფესიონალი ქოუჩების გამოცდილებას.

სავარაუდო **„საწყისი სიტუაციები“:** აქ აღვწერ შესაძლებელ ანდა გამოცდილებით ნაკარნახევ პროცესის დასაწყისს. წიგნში მოყვანილი მეთოდები სწორედ ამ პუნქტებს ეფუძნება. თუკი, მოცემულის გარდა სხვა საწყისი სიტუაციებიც იჩენენ თავს უნდა გადამოწმედეს, შესაძლებელია თუ არა შესაბამისი, ან სხვა რომელიმე მეთოდით საკიტხის დამუშავება.

„ინდიკატორები“: კლიენტი ერთგვარ „სიმპტომებს“ საუბრის დასაწყისშივე ამჟღავნებს ხშირად (ოპტიკურად/აკუსტიკურად). ინდიკატორები მეთოდების არჩევის, პროცედურის, და სხვა ელემენტების ორიენტირებია.

„პროცედურებით /მიდგომა? მეთოდებში მიდგომა..?“ დასათაურებულ სექციებში, აღწერილია ერთი ან რამდენიმე განვითარების ვარიანტი, რომელსაც პროცესის დროს უნდა მივყვეთ. მოცემული დროის პერიოდი შეიძლება საშუალო დროდ ავიღოთ, თუმცა ეს დამოკიდებულია შექმნილ სიტუაციაზე, პროცესის დინამიკაზე, კლიენტის პრობლემის შინაარსობრივ წინასწარ ცოდნაზე, ან რამდენად გადაუხვევს კლიენტი თემას.

რადგანაც ადამიანთა უმრავლესობა ვიზუალურ ინფორმაციას-გრაფიკებსა და სურათებს უკეთ აღიქვამს და უკეთაც იმახსოვრებს, სასურველია ქოუჩინგშიც, რაც შეიძლება მეტად გამოვიყენოთ სურათები და ნახატები. **„ვიზუალიზაციის“** განყოფლებაში მინიშნებებია, თუ რა გრაფიკები შეგვიძლია გამოვიყენოთ ანდა სხვაგვარად განვრცობის ვარიანტები. ამ ინფორმაციამ ქოუჩი უნდა განაწყოს იმისთვის, რომ სიტუაციიდან გამომდინარე მდიდარი იდეებით თავად იმოქმედოს.

„ავტორით“ დასათქურებულ ნაწილში მითითებული სავარჯიშოს ანდა მეთოდის პირველწყარო, ანდა ცნობილ პიროვნება, ვინც აღნიშნული მეთოდი გამოაქვეყნა, ან მომაწოდა. განყოფილებაში **„დამატებითი ლიტერატურა“** წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ნაშრომები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შინაარსობრივი, ფსიქოლოგიური, ანდა მეთოდური ცონის გასაღრმავებლად ქოუჩებისთვის.

1.2.1 გამოყენების მაგალითი

როგორც ქოუჩს, კლიენტი მაცნობებს, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად ვერ ახერხებს თანამშრომლის მოტივირებას და გააქტიურებას. კლიენტი სვამს შემდეგ კითხვებს: როგორ შემიძლია ჩემი თანამშრომელი აზრიანად გავააქტიურო? რისკენ აქვს მიდრეკილება ჩემს თანამშრომელს თავის საქმიანობაში?

თემა: მოტივები

მეთოდი „ფსიქოლოგიური შიმშილი“ (იხილეთ გვ. ....)

გადასამოწმებლად ანდა შესავსებად დასამატებლად, იხილეთ ა) საწყისი/ამოსავალი სიტუაცია და რჩევები და მითითებები. მაგალითად, ქოუჩინგ-კლიენტი გვიყვება რომ მისი თანამშრომელი დემოტივირებულია თანამშრომლის დემოტივაციის შეგძნებაზე (იხლიენთ ბ) ან დავალებები სამუშაოზე არც თუ ისე კარგადართმევს თავს, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი გამოცდილება და უნარ-ჩვევები გააჩნია (იხილეთ გ).

საწყის სიტუაციაზე ფოკუსირების შესაძებლობას **ინდიკატორები** მოგცემთ. ან შეიძლება ეს თავად კლიენტის საუბარიდან გამოჩნდეს, მაშინ როცა ის სხვა პიროვნებასთან ურთიერთობზე დაიწყებს მოყოლას. მაგალითად, წინადადებებს შორის აზრს თუ ამოიკითხვათ, მიხვდებით რომ მას კარგად არ ესმის თანამშრომლის სიტუაცია („არ ესმის მოტივაცია“).

რა მიზანს მიაღწევთ ამ მეთოდის ქოუჩინგ-საუბრებში გამოყენებით? მაგალითად მიზნად შეიძლება დასახულ იქნას საკუთარი საჭიროების/მოთხოვნილებების სტრუქტურისა და სამუშაო პირობების გაცნობიერება/გააზრება. კლიენტმა თქვა, რომ მას სურს თანამშრომელთან სიტუაციის გაუმჯობესება, მის მოტივებზე შესაბამისი რეაგირება მოახდინოს ასევე ამოიცნოს, თუ როდის რა არ გამოდის. როგორც ხედავთ, უფროსის და თანამშრომლის მოტივები, ანდა მათ შორის არსებული განსხვავება ცენტრში დგას.

კარგი რჩევებია ქოუჩისთვის **პროცედურების (მიდგომების)** სექციის ქვემოთ. აქ მხოლოდ გამოყენების ცალკეულ ნაბჯებზე კი არაა საუბარი, არამედ განმარტებულია თუ როდისაა მიზანშეწონილი ტესტების, გრაფიკებისა და მოდელების გამოყენება. მაგალითად, შეიძლება ქოუჩმა „ფსიქოლოგიური შიმშილის“ შესახებ სიტუაციის ახსნის

და გარკვეული ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, კლიენტს ურჩიოს რომ მან და მისმა თანამშრომლმა ტესტი შეავსონ.

იმდენად რამდენადაც ვიზუალური მასალას უმეტესობა ადამიანებისა უკეთ აანალიზებს და იმახსოვრებს, მიზანშეწონილია ვიზუალური მასალით კლიენტის დახმარება. წიგნში მოცემული მეთოდების უმრავლეობას ახლავს ნახაზები და დიაგრამები და ა.შ, რომლებიც ინსტრუმენტებს მეთოდის აღწერის შემდეგ აქვთ თანდართული. მაგალითად, „ფსიქოლოგიური შიმშილის" შემტხვევაში მოცემულია ხაზოვანი დიაგრამა(Stabdiagram) უკვე შევსებული ფორმით (სქემა 52) კაგრკვეული ასპექტების უკეთ გასააზრებლად, მოყვანილია დეფინიციები პრაქტიკულ სიტუაციაზე დაყრდნობით „შიმშლის" კერძო შემთხვევებისა (ნახატი 24).

სავარჯიშოების უმრავლესობა ავტორის მიერაა განვითარებული, ან კოლეგების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავებული და მეცნიერული ლიტერატურიდან გადამუშავებული და ადაპტირებული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მითითებულია ავტორი და დამატებითი ლიტერატურა. სპეციალური თეორიების გასაცნობად, ანდა მიზეზშედეგობრივი კავშირებისა მოცულობით და დიდი მასშტაბის თემებში, მაგალითად ტრანზაქციული ანალიზის ანდა ფსიქოსინთეზის შემთხვევაში, წიგნებისა და სტატიების ზუსტი წყაროებია მითითებული.

1.2.2. ინსტრუმენტების გამოყენების სფეროები

განსხვავებული შემთხვევების, საწყისი სიტუაციებინ ანდა კლიენტის პრობლემური მდგომარეობის ინსტრუმენტებთან შესაბამისობაში უკეთ მოსაყვანად, მინდა შემდგომი 10 გამოყენების სფერო წარმოგიდგინოთ:

A-ანალიზის მეთოდები (დიაგნოზირებისთვის)

R-მეთოდები რესურსებისა და პოტენციალისშესაფასებლად

H -მეთოდები კონტესტის გასაანალიზებლად

V-პროცესუალური ან პროცედურული მეთოდები (გვ16)

P-პრობლემის დამუშავების მეთოდები

M-ტექნიკურისამუსაო მეთოდები ქოუჩინგში

Z-მომავლის ფორმირების მეთოდები

T-ტრანსფერის მეთოდები

E-შეფასების/გადამოწმების მეთოდები

S-თვითრეფლექსიის მეთოდები ქოუჩისათვის

თავად ქოუჩინგის მეთოდები ანბანის მიხედვითაა დალაგებული. თითოეული მეთოდის გრაფის გასწვრივ მარჯვნივ შესაბამისი გამოყენების სფეროა აღნიშნული. დანართში ნახავთ შესაბამისი ინსტრუმენტების სიას გამოყენების სფეროს შესატყვისი ნუმერაციით.

შემდეგ სქემა 2-ში ნაჩვენებია თუ რა ლოგიკითაა მეთოდები ერთმანეთთან დაკავშირებული ქოუჩინგის მთლიან პროცესში, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქოუჩინგის პროცესის კომპლექსურობაზე. თვითოეული მეთოდი პრაქტიკოს ქოუჩს თავის სტრუქტურას სთავაზობს, რათა ემოციური და კოგნიტური შინარსის მიწოდებით და ამით კლიენტის დახმარებით, მან თავად იპოვოს პრობლემის გადაჭრის გზა.



ნახ. 2: მეთოდებს შორის ურთიერთაკვშირი ქოუჩინგის მთლიანი პროცესის განმავლობაში.

თითოეული გამოყენების სფერო/დაწვრილებით გამოყენებით სფეროებზე

- ანალიზისმეთოდები (დიაგნოსტიკისთვის) (A)

  ესაა ინსტრუმენტები ინფორმაციის შესაგროვებლად, რომელიც ასევე კლიენტის თვალთახედვას მისთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში აფართოებენ. ამ მეთოდების გამოყენებით ადვილდება თავად კლიენტის მიერ საკითხის დიაგნოზი.

- რესურსების და პოტენზიალის სეფასების მეთოდები (R)

  ეს ინსტრუმენტები და მოდელები საჭიროა, რათა კლიენტმა საწყის სიტუაციაზე დაყდნობით შეაფასოს საკუთარი უნარები, გამოცდილება, რესურსები, პოტენციალი ასევე კომპეტენციები.
- კონტექსტის გააზრების მეთოდები (H)

  ქოუჩინგის ბევრ პროცესში მნიშვნელოვანი პუნქტები/საკითხები „წყლის ზედაპირის ქვემოთაა“ როგორც ამას აისბერგის-მოდელი გვიჩვენებს. ამ მეთოდების მიხედვით ვკრებთ/ვაგროვებთ/ვაჯამებთ ქცევის სიღრმისეულ მიზეზებს და სიტუაციის ერთი შეხედვით უხილავ ასპექტებს (ვაანალიზებთ).
- პროცესუალური და პროცედურული მეთოდები (V)

  ეს მეთოდები განკუთვნილია ქოუჩების დასახმარებლად - ერთი საათის განმავლობაში პროცესის აგებისთვის, რათა მთლიანობა არ დაირღვეს. ეს ეხმარება ქოუჩს პროცესის ორგანიზებაში, რათა მან შეინარჩუნოს მთლიანი სურათი, ისე რომ შინაარსობრივად რომელიმე საკითხზე ფიქსაცია არ გააკეთოს. არამედ აზრიანად წარმართოს პროცესი.
- პრობლემის ანალიზის მეთოდები (P)

  ეს ინსტრუმენტები დამხმარე საშუალებებია, რათა სხვადასხვა სახის სირთულეები ჩავიჭიროთ, სიტუაციის მიხედვით, საწყისი პრობლემა რომ გამოვარკვიოთ, გამოვამჟღავნოთ, რათა შემდგომში გადაჭრის განვითარებისა და ცვლილების პროცესები/ნაბიჯები შესაბამისად დავგეგმოთ.
- ზოგადი სამუშაო მეთოდები ქოუჩინგში (M)

  ინსტრუმენტები, დამხმარე საშუალებები, ანდა მეთოდები, რომელბიც ქოუჩინგის დროს განსხვავებული თემების სტრუქტურულად მოწესრიგებაში გვეხმარება. მათი მეშვეობით შეიძლება საქმიანი, ემოციური, მიმართებითი/ურთიერთობის ანდა სამუშაოსთან დაკავშირებული შინაარსების/ასპექტების დამუშავება.
- მომავლის ფორმირების მეთოდები (Z)

ინსტრუმენტები და მეთოდები, რომელბიც გვეხმარებიან „ხვალინდელი დღის“ უკეთ განსაზღვრაში, ორიენტირის პოვნაში, ანდა სამომავლო გზების გაცხადებაში, გაცნობიერებაში და მათ შინაარსობრივ ჩამოყალიბებაში.

- ტრანსფერის მეთოდები (T)

  ეს მეთოდები ხელს უწყობენ კლიენტს, რათა შემუშავებული იდეები და დაგეგმილი აქტივობები რეალობაში განახორციელოს და ხორცი შეასხას მათ.
- შეფასებისა და გადამოწმების მეთოდები (E)

  დამხმარე საშუალებაა ქოუჩინგის პროცესის რეფლექსიისათვის, ანდა მეთოდისა და შინაარსობრივი დავალებების/სამუშაოს გადამოწმებისთვის.
- თვითრეფლექსიის მეთოდები ქოუჩისათვის (S)

  ეს ინსტრუმენტები ქოუჩებისთვისაა, რათა მათ კრიტიკულად შეხედონ და გაანალიზონ საკუთარ სამუშაოსიტუაციას, ურთიერთობის და პროცესების ასპექტები უკეთ გააცნობიერონ და შემდგომი ნაბიჯისთვის ისწავლონ.

1.3 ქოუჩინგის პროცესის ფაზები

ჩემს პრაქტიკაზე დაყრნობით, ქვემოთწარმოდგენლი პროცესის სტრუქტურა განვავიტარე. რა თქმა უნდა ყოველდღიურ საქმიანობაში ამ პროცესმა შეიძლება ადაპტაცია გაიაროს და საჭიროებისამებრ შეიცვალოს. ქვემოთ ნახაზის სახით მოყვანილია, ქოუჩიბგის პროცესის უმნიშვნეოვანესი ფაზები, ასევე თითოეული ფაზის ძირითადი აღწერილობა.

ფაზები და მათი პრაქტიკული გამოყენება



ნახ. 3: ქოუჩინგის ხუთი ფაზა

პირველი ფაზა: პირველადი კონტაქტის ფაზა

ეს საუბარი გაცნობას ემსახურება, პირველად ორიენტაციას და ორივე მხარეს თავისუფალ შესაძლებლობას აძლევს/არ ავალდებულებს, არ განაგრძონ პროცესი და ქოუჩინგი შეწყვიტონ. სანამ კონტრაქტი გაფორმდება, კლიენტისთვის შეიძლება დაფიქრებისთვის მნიშვნელოვანი იყოს მცირე დროის მიცემა, რათა ის გაერკვეს საკუთარ სურვილში მართლა სურს თუ არა ქოუჩინგის დაწყება.

ამ ეტაპზე ქოუჩისთვის მნიშვნელოვანია:

- ორმხრივი/რეციპროკული სიმპათია და მიმღებლობა

- ღიაობა და მზაობა, რომ ერთი ფაზის განმავლობაში შეიძლება რამდენიმე საუბარი ჰქონდეს.
- თემა, რომელიც პირველადი განხილვის შემდეგ ქოუჩინგისთვისაა განკუთვნილი
- გამოკვეთილად ანგაჟირებული კლიენტი, რომელსაც თავისი საკითხის მოგვარება სურს (არ გადააქვს პასუხისმგებლობა ქოუჩზე)

კლიენტისთვის ამ ფაზის განმავლობაში მნიშვნელოვანია:

- ნდობა,
- შეგრძნება იმისა, რომ ქოუჩი თავის საქმეში კომპეტენტურია,
- პრობლემა, ანდა საკითხი, რომელიც დამოუკიდებლად გადაუჭრელი ჩანს,
- შეგრძნება იმისა რომ კარგ ხელში მოხვდა,
- საკუთარი სირთულეების/თემების მიმართ მიმღებლობა
- ეფექტური ქცევა
- ქოუჩის საქმიანობის გაცნობა/ქოუჩთან მუშაობის გამოცდილება (ასევე სხვა სიტუაციაში/კონტექსტში---სხვა დროს) ახლობელი ადამიანების რჩევა.

მეორე ფაზა: მოლაპარაკების და კონტრაქტის ფაზა

ორიენტაციის ფაზის შემდეგ, თუკი კლიენტი ქოუჩინგსი დაწყების სურვილს გამოთქვამს, შეიძლება დაიგეგმოს დამატებითი საუბარი, ან პირველადი კონტაქტის ფაზა დეტალური მოლაპარაკებით გაგრძელდეს, მომავალი ქოუჩინგის შესახებ:

ქოუჩის გადმოსახედიდან მნიშვნელოვანია:

- ამოსავალი პრობლემის/სიტუაციის ანდა მიზნის წერილობით ფორმულირება
- დაგეგმვის შესაძლებლობის ქონა/შეეძლოს დაგეგმვა,
- ადმინისტრაციული საქმის ცოდნა, რათა პროცსი ადმინისტრაციულად ცხადად წარიმართოს
- ძირითადი პირობების/ჩარჩოს და გავლენების ცოდნა
- კლიენტის პრობლემური სიტუაციის, ანდა მიზნის გაგება
- საკუტარი, როგორც ქოუჩის უნარების რეალისტური შეფასება

კლიენტისთვის მნიშვნელოვანია:

- ცხადი ნათელი შეთანხმების მიღწევა, ვალდებულებითი საფუძვლის ასევე გარკვეული თავისუფლების შესაძლებლობის ქონა,
- საკუტარ პრობლემურ სიტუაციაზე/ მიზანზე მუშაობის სურვილი/ საქმისთვის ხელის მოკიდება
- პროცესის/მოქმედების ზოგადი სურათის და პასუხისმგებლობის/ ვალდებულებების ქონა.

მესამე ფაზა: სამუშაო-ფაზა

ა) სიტუაციის ანალიზი და დიაგნოზი

ქოუჩინგის დასაწყისში მნიშვნელოვანია, სიტუაციის კონტექსტს და მის გამომწვევ მიზეზებს ჩავუღრმავდეთ. მიუხედავად ამისა დიაგნოზი პროცესია, რომელიც მომდევნო საუბრებში წამოჭრილი სხვადასხვა თემის დამუშავებაში კვლავ დაგვჭირდება.

ქოუჩისთვის მნიშვნელოვანია:

- მრავალფეროვნება და მოქნილობა მეთოდებთან და დიაგნოზის პროცესთან მიმართებაში.
- კლიეტში გააღვიძოს ინტერესი,
- კლიენტის ღიაობა და ინტერესი
- კლიენტის სიტუაციის გააზრება/გაგება
- დასამუშავებელი სიტუაციის საერთო სურათის (დიაგნოზის) შექმნა საჭირო, აზროვრივი, გონივრული მასშტაბით/სიღრმით.
- აღებული გეზის მიყოლა (გონების და აზრის გაუფანტავად -არ მივცეთ უფლება საკუთარ თავს)

კლიენტისთვის მნიშვნელოვანია:

- ნდობა, განსაკუთრებით იგულისხმება პირადი ინფორმაცია და კომპანიის მონაცემები, სადაც ის მუშაობს.
- ქოუჩის მიმართ სიმპათია და გაგება
- დიაგნოზის საშუალებით გარკვეული სიცხადის შეტანა/გაცნობიერება ახალი პერსპექტივების.
- მხარდაჭერის შეგრძნება ქოუჩის მხრიდან/ანდა სურვილი იმისა რომ მიენდოს ქოუჩს (ქოუჩის უკვე გამოცდილი კომპეტენციიდან გამომდინარე)
- „წითელ ხაზი“ არ გადაკვეთოს, მისდიოს „არჩეულ თემატიკას“ (ჯიუტად არა, თუმცა გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ ახალი თემის შემოტანა სპონტანურად პროცესს არ წაადგება).

ბ) პრობლემის გადაჭრაზე მუშაობა და გეგმის შემუშავება

ეს ფაზა მთლიანი ქოუჩინგის-პროცესის განმავლობაში ყველაზე ხანგრძლივია. ეს იყოფა ბევრ საუბრად, გააჩნია მიზნის ანდა პრობლემის სიტუაციას (იხილეთ თავი 2.4). გამოცდილება გვკარნახობს, რომ პრაქტიკულია თითოეული საუბრისას შემდეგი ეტაპებს მისდიოთ/გაიაროთ.



ა) აქტუალური ბ) დაკავშირება გ) მიზნის, პრობლემის დამუშავება დ) გეგმა/განზრახვა, ტრანსფერი ე)მიმოხილვა/შეჯამება/პერსპექტივა Ausblick

ნახ. 4: თითოეული ქოუჩინგ საუბრის ეტაპები

ეტაპი ა „აქტუალური“

ეს ნაწილი მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რადგანაც ამ დროს შესაძლებელია ქოუჩინგის მიმართ ენერგიის/მოტივაციის ბლოკირება მოხდეს/დაკნინდეს/დაიხშოს/. ხანდახნა გვხვდება გამონაკლისი/განსაკუთრებული შემთხვევები (Ad Hoc), რომლებიც კლიენტს ძალიან აწუხებს, ხელს უშლის, წყობიდან გამოჰყავს და რომელთაც ქოუჩინგთან არანაირი კავშირი არ აქვს. ძალიან სასიხარულო ამბებიც შეიძლება ამ რიცხვს მიეკუთვნებოდეს. ცნობიერი ამის თავიდან აცილებით (umgehen), კლიენტის განწყობის მომენტალური ემოციური აფეტქების მიმართ- ჩართვით (ემპათიის ჩვენებით) მის ენერგიას ხილულს ვხდით ფომირებისთვის/გარდაქმნისთვის.

ეტაპი ბ „დაკავშირება“

განხორციელების შედეგები, გამოცდილება „წინა საუბრისას შემუშავებულ გეგმასთან დაკავშირებით“, ან ნეგატიური განცდა ბოლო საუბრის გეგმების პრაქტიკაში გამოყენების გამო. ხშირად დასმული შეკითხვები:

- რა განახორციელეთ წარმატებულად?
- რა პოზიტიური გამოცდილებებია ამასთან დაკავშირებული? როგორ მიდის წინა საუბრისას დასახული გეგმაის საქმე?
- ხოლო თუ წარუმატებლობა სახეზეა: რა იყო მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი/მიზეზი, რამაც გეგმის განხორციელებაში ხელი შეგიშალათ? რის გაკეტებას აპირებთ? სხვა რა ღონისძიებები ანდა ქცევაა საჭირო, წარმატება რომ განიცადოთ?

- ვინაა თქვენი მოკავშირე ვინ გეხმარებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ანდა ვინ შეიძლება და რა ქცევით/ან რა გზით შეგიშალოთ ხელი?

ეტაპი გ „მიზნის/პრობლემის დამუშავება“

ახალი „ძველი“ თემა, რომელიც უკვე შეთანხმებულია, ან კლიენტმა თავისი გეგმის ფარგლებში ახლახანს შემოიტანა, ანდა ქოუჩმა შესთავაზა კლიენტს ხელახლა თავის დროზე შეთანხმებული აკითხების სია, ხოლო კლიენტმა აირჩია.

ეტაპი დ „გეგმა, ტრანსფერი“

აქ კლიენტის გეგმებზე, მის მიზნებსა და პრობლემურ სიტუაციაზე უფრო კონკრეტული მუშაობა მიდის/ახლოდან მუშავდება. დიაგნოზის სპეციფიკაცია, ან გაღრმავება ხდება. განსხვავებული პროცესის ანდა სინარსის მეთოდები გამოიყენება. მიძინებული იდეები, ალტერნატივები კლიენტის საკითხის ირგვლივ ჯამდება, როგორც კლიენტის ასევე ქოუჩის მიერ, რომელმაც შეიიძლება ისინი დაუპირისპიროს ერთმანეთს უფრო ჩაუღრმავდეს კიტხვებით განვრცობის მიზნით. აქ მუშავდება კლიენტის კონკრეტული ნაბიჯები, რას როგორ და როდის გააკეთებს. მოქმედებები შიეძლება იყოს ქცევაზე ორიენტირებული, ან ურთიერთობაზე ანდა სამუშაო მეთოდიკასა და სტრუქტურაზე. აქ მნიშვნელოვანია გავამხნევოთ კლიენტი, რომ ამ გეგმას კონკრეტული ფორმულირება მისცეს, შეიძლება მიზანი ვიზუალურადაც წარმოვადგენინოთ. მიღებულ გამოცდილებასა და წარმატებაზე მომდევნო შეხვედრაზე გაგრძელდება საუბარი (იხ. ეტაპი ბ).

ეტაპი ე „მიმოხილვა/პერსპექტივა“

საუბრის მომგვრვალება. მომზვალზე ორიენტირით (შემდეგ ჯერზე ჩვენ..), მაგრამ ასევე უკვე განვლილ საფეხურების გადახედვით შეიძლება ემოციურადაც და საქმესაც პოზიტიურად წაადგეს. შეიძლება შეჯამებაში ამოტივტივდეს, რომ მნიშვნელოვანი პუნქტია გამორჩენილი, გვერდზე დარჩა ან მნიშვნეოვანი აღარაა როგორც ეს თავიდან ჩანდა. ნაბიჯების მიმოხილვე „არდავიწყებისთვის“ , ნდობის სიცხადის და წითელი ხაზების არგადაცდომის გათვალისწინებით ძალზე მნიშვნელოვანი შედეგის მომტანი შეიძლება გახდეს.

მეოთხე ფაზა: დამამთავრებელი ფაზა

თუკი ქოუჩინგის პროცესის განმავლობაში პრობლემები დამუშავებულია, გადაჭრის გზები ნაპოვნია და შესაბამისად მიზანიც მიღწეული, მიზანშეწონილია ორივე პარტნიორისთვის, განვლილ ქოუჩინგის პროცესს თვალი გადაავლონ და ამით დაემშვიდობონ ერთმანეთს, მაგრამ ასევე წინაც გაიხედონ და ახალი შეძენილი უნარები, კომპეტენციები და ხატები გაამყარონ.

ქოუჩისთვის მნიშვნელოვანია:

- ღიად შეეძლოს უკან მოხედვა
- კარგი შეგრძნება შედეგიანი გაწეული სამუშაოს მიმართ
- მოსავლის აღების/მომკის უფლება/შესაძლებლობა.
- პარტნიორული და პირდაპირი საუბრის ატმოსფერო.

კლიენტისთვის მნიშვნელოვანია:

- შესარულებულის და განხორციელებულის წარმატების შეგრძნება,
- დახმარებულად და მხარდაჭერილად თავის გრძნობა
- ემოციური თანადგომა, იმის განცდა რომ მარტო არ დარჩა.
- კარგი შეგრძნება უკეთესობის და ცვლილების.
- შეგრძნება რომ რარაც ახლი ისწავლა

- აქტიური სასაუბრო ატმოსფერო.

მეხუთე ფაზა: შეფასების ფაზა

ქოუჩინგ კლიენტის დამოუკიდებობის გათვალისწინებით და სახლ ახლახანს დასრულებული სწავლების და ცვლილებების ფაზის შემდეგ ჯერი მხოლოდ სამუსაო გარემოში ცოდნის გამოყენებაზე დგება. თუკი კლიენტი ამის სურვილს გამოთქვამს, მიუხედავად წარმატებული შეხვედრებისა, შეიძლება მოკლე საუბარიც გაიმართოს მირებული ცოდნის/გეგმის გამოყენების თაობაზე. წარმატების გაზიარებამ, ანდა სირთულეების გადამოწმებამ კლიენტს შეიძლება დამოუკიდებელი მუსაობისათვის ახალი იმპულსი მისცეს.
ამგვარი კონტაქტი ქოუჩინგის დასრულებიდან მაშინვე ან განსაკუტრებული სიტუაციის განხილვიდან დაუყოვნებლივ არ უნდა შედგეს, არამედ ეს ტავისუფალი წარმატების გაზიარება უნდა იყოს! ამგვარი საუბარი შეიძლება სამ-ექვს თვეში ერთხელ გაიმართოს. ამ დროის გასვლის შემდეგ გამორიცხული არაა ხელახალი ქოუჩინგი დაიწყოს, მაგრამ, ჩემი გამოცდილებით ჯობს ეს 6 ან 12 თვის სემდეგ მოხდეს, რადგანაც მსუბუქი ფორმა არ მივიღოთ „ფსიქოლოგიური დამოკიდებულებისა“.

1.4 ემოციური ასპექტები და მთლიანობა/სისტემურობა ქოუჩინგში

ქოუჩინგი არის როგორც შინაგანი მდგომარეობა და მეთოდი, კავშირი პრაქტიკულ პრობლემებსა/დავალებასა და პიროვნულ/ადამიანურ მხარეს შორის. შემდგომი/დანარჩენი ხდება პრაქტიკული, როლებზე დაფუძნებული ანდა თემატური ასპექტების სოციალურ, ემოციურ ანდა რელატიურ/ურთიერთობით ასპექტებთან ურთიერთმიმართებით (ამ ასპექტების დაკავშირებით). როცა მნიშვნელობაზე/გაგებაზე ორიენტირებულ და კულტურულ ასპექტებს შორის კავშირი მყარდება, ჩვენ ვლაპარაკობთ ქოუჩინგის მთლიანობაზე/საქმე გვაქვს ქოუჩინგის მთლიანობასთან.

ნახ. 5: ქოუჩინგი, როგორც მთლიანობა

ისეთი ფორმულირებები/ცნებები, როგორებიცაა პიროვნული ქოუჩინგი, საგნობრივი/პროფ. ქოუჩინგი, ჟურნალისტური/მედია ქოუჩინგი[1], ერთიმხრივ მხოლოდ შემადგენელი ნაწილებია ქოუჩინგისა, ასე რომ ვთქვათ- „ახალი ღვინო ძველ ყანწში“, უმჯობესი იქნებოდა, თუ მათ ცხოვრებისეულ სოციალურ და საგნობრივ კონსულტირებას, ანდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებას, ხელმძღვანელობას- სუპერვიზიას და თვითმენეჯმენტს (თვითმენეჯმენტის მეთოდებს) დავარქმევდით.

დღეს განასხვავებენ „ანგლო-ამერიკულსა“ და „ევროპულ“ მიდგომას ქოუჩინგში. ანგლოამერიკული მიდგომა შედარებით უფრო ინსტრუმენტულია/მეთოდურია, მაშინ როცა, განსაკუთრებით კი, ცენტრალურ ევროპაში განვითარებული მიდგომაში ფსიქოლოგიურ მხარეს მეტი წონა აქვს პროფესიულ/მეთოდურ მხარესთან ერთად.

[1] http://mediencoaching.tv/

ემოციური და ურთიერთობითი ელემენტების მხედველობაში მიღება ამიტომ (ცენტრალურ) ევრპული მიდგომისთვისაა დამახასიათებელი. სუფთა წყლის მეთოდოლოგიური და მხოლოდ ინსტრუმენტული გამოყენება მოცემულ წიგნში წარმოდგენილი მეთოდების და დამხმარე მასალის და საბუთების/ფორმების, ქოუჩინგ საუბრებისთვის არც აზრიანია და არც პრაქტიკული შედეგის მომტანი. ქოუჩი უნდა იყოს მზად, საკუთარი ემოციური მხარე ქოუჩინგის კლიენტთან მიმართებაში კარგად აღიქვას და გააცნობიეროს, საკუთარი კავშირი/ფენომენი გამოიმუშაოს კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში თუ რომელია ყველაზე კარგი და გამოსადეგი მეთოდი, ისევ და ისევ კლიენტის ემოციური ინტენსივობის გათვალისწინებით, ეს ყველაფერი კლიენტის პრობლემის ირგვლივ ერთდროულად მთლიანობაში უნდა დამუშავდეს.

ქოუჩთა ეთიკის კოდექსი[2], რომელიც დღეს მრავალგვარად გამოიყენება, გამოხატავს /ხაზგასმულია/ ასევე პროფესიონალურ და მარალკვალიფიციურ თვისებრივ სამუშაოს. თვითოეულ მეთოდს აქვს თავისი ემოციური, ეთიკურ-ფილოსოფიური და სტრატეგიული მხარე. ინსტრუმენტების და მეთოდების შერჩევისას გასათვალისწინებელია მოტხოვნა ქოუჩისთვის, ემოციური ინსტინქტი დელიკატურობა/სენსიტიურობა/მგრძნობელობა კლიენტის მიმართ, სიტუაციის მიმართ და გარემოს მიმართ.

1.5 მოთხოვნები პროფესიონალი ქოუჩისთვის

ქოუჩინგი ბოლო ათი წლის მანძილზე დამოუკიდებელ ფსიქოსოციალურ და სამუსაო გარემოსტან დაკავშირებულ აქტივობად/ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. თუკი უწინ ფსიქოთერაპევტები, გარკვეული ინდივიდუალურ პროფესიულ გამოცდილებას ეყრდნობოდნენ, დღეს უკვე ამგვარი პროფესიული და ფსიქოლოგიური „ცალმხრივობა“ ქოუჩინგისთვის საკმარისი აღარაა. საფუძვლიანად მომუშავე და თავის უნაგირზე მყარად მჯდომ ქოუჩს დრეს ბევრი კომპეტენცია უნდა ჰქონდეს, რათა თავისი სამუშაო ეფექტიანად გასწიოს.

2



* წრეში აკლია სოციალური კომპეტენცია (ტექნიკურად აღარ ჩაჯდა)

ნახ. 6: ძირითადი კომპეტენციები

ა) გარემო და პროფესიული კომპეტენცია

ქოუჩინგის პირველი კვლევისას (შეადარეთ. ფოგელაუერი „ქოუჩინგის პრაქტიკა“, 1997) გარემო და პროფესიული კომპეტენცია საკმაოდა მნიშვნელოვნად მიიჩნეოდა. კლიენტებისთვის დღეს ეს სხვანაირადაა (ტრიგონის ქოუჩინგის გამოკითხვა, 2010). პროფესიული ცოდნა მიუხედავად იმისა რომ ძალიან მნიშვნელოვანია, მაინც არ არის გადამწყვეტი: დაიკლო ამ ფაქტორის მნიშვნელობამ. თუმცა კლიენტის საკითხის,

პრობლემის და თემების გასააზრებლად პროფესიული ცოდნა ძირითადად მაინც საჭიროა.

ძირითადი საკითხები:

- ვიცნობ თუ არა კლიენტის პროფესიას იმდენად, რომ პროფესიული კუთხით შემიძლია მასთან ფუნდამენტურად/ზოგადად grundsatzlich ვისაუბრო?
- შემიძლია თუ არა როგორც ქოუჩმა, გავიგო კლიენტის საკითხი და თემა მის სამუშაოსივრცეში/გარემოსთან მიმართებაში?

ბ) როლური კომპეტენცია

ქოუჩი ბევრ სამსახურებრივ როლში უნდა გრძნობდეს თავს დარწმუნებულად, რათა ქოუჩინგის როგორც პროფესიის ფართო სპექტრი სრულფასოვნად გამოიყენოს. უმრავლეს შემტხვევაში ქოუცებს ერთი ან რამდენიმე პროფესია აქვთ, მაგალითად სუპერვაიზორობა, კონსულტანტობა, ტრენერობა და სხვ. სხვა პროფესიული როლების დაუფლება უპირატესობაა.

ძირითადი კითხვები:

- რამდენ განსხვავებულ როლში შემიძლია მე კარგად და მოხერხებულად/ფლექსიბელურად შესაბამისი მეთოდიკით ვიხელმძრვანელო და შინაარსობრივ კონტექტთან /სფეროსთან მიმართებაში ვიმუშავო?
- რომელი როლი არ შეიმიძლია რომ ეთიკური, სამართლებრივი ან პროფესიული მიზეზებიდან გამომდინარე პროცესში შემოვიყვანო?

გ) მენეჯერული და მმართველობითი კომპეტენცია

ქოუჩი არ არის მენეჯერი ანდა მმარტველი, თუმცა ის უნდა ფლობდეს გარკვეულ მმართველობით უნდარ-ჩვევეს/გააჩდეს შესაძლებლობა, რატა წარმართოს საუბარი და ქოუჩინგის მთლიანი პროცესი დაგეგმოს. აქ იგულისხმებ შემდეგი თემები: ინიციატივის

გამომჟღავნება, ისე რომ მოვლენებს წინ არ გაუვუსწროთ, დროის მართვა, ისე რომ კლიენტს თავს არაფერი მოფახვიოთ და არც ფიქსირებული სტრუქტურა არ ავაწყოთ/შევიმუშავოთ, მთლიანი პროეცესის მხედველობაში შენარჩუნება/ზედხედი და მთლიანობაზე/ზედხედზე ორიენტირება, ისე რომ არ უარვყოთ დამატებები, შუალედები/შუალედური ნაბიჯები და თემიდან გადახვევები.

ძირითადი კითხვები:

- რა მმართველობითი, საუბრის წარმართვის და აგების გამოცდილება გამაჩნია?
- რა ორგანიზაციული, სტრუქტურული და მენეჯერული უნარჩვევები მაქვს?

დ) ეთიკური და ჰუმანური კომპეტენცია

ქოუჩს სჭირდება ნათელი ეთიკური ორიენტირი („კრედო“) კლიენტთან ურთიერთობისთვის. მოსწონდეს იმ ადამიანებთან ურთიერთობა, ვისთანაც მუშაობს, მაგრამ ყოველგვარი ინტიმურობის გარეშე და ამასთანავე კლიენტის მხრიდან (ფსიქოლოგიური) ადამიანური დამოკიდებულებაც უნდა აირიდოს თავიდან. ღია, პარტნიორულ განვითარებაზე ორიენტირებული, ამასთანავე კონფრონტაციული მომთხოვნი დამოკიდებულება პროფესიონალურად გაკეთებული სამუშაოსთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია.

ძირითადი კითხვები:

- რა არის ჩემი კრედო ანდა ჩემი ცენტრალური ეთიკური პუნქტი კლიენტთან მუშაობისას?
- როგორი მიდგომა მაქვს (შინაგანად გულწრფელად) ჩემს კლიენტთან?

ე) თვითრეფლექსიისა და (თვით) განვითარების კომპეტენცია

ქოუჩი სუპერვიზიითა და სპეციალისტთან ქოუჩინგის რეფლექსიის მეშვეობით, ერთად ან ცალკე უნდა დააკვირდეს და გადაამოწმოს ჩატარებული ქოუჩინგის პროცესი,

განხორციელებული აქტივობები, ინტერვენციები; გადაამოწმოს და განსხვავებული კუთხით შეხედოს. თავისუფლად ყოფნა(თავისუფლება), საკუთარი თავის შეცვლა/დახვეწა, ახალი ქცევის გამომუშავება, ახლის (შინაარსობრივი კუთხით) სწავლა და გამოყენება, კარგი ქოუჩის რეპერტუარს მიეკუთვნება.

ძირიტადი კითხვები:

- როგორ ვამუშავებ ვუმკლავდები გაურკვევლობას, წამოჭრილ კითხვებს, რაში ვგრძობ თავს დაურწმუნებლად და ქოუჩინგის პროცესში გაჩენილ შინაგან შთაბეჭდილებას გრძნობებს როგორ ვამუშავებ?
- ვის ვესაუბრები/რომელი ქოუჩი/სუპერვაიზორი/ხელმძღვანელი მყავს რეფლექსიისა და შემდგომი განვითარებისთვის?

ვ) ორგანიზაციის პროცესებისა და სტურქტურის ცოდნა/კომპეტენცია

ორგანიზაციული პროცესებისა და პროცესუალური ურთიერთკავშირების/მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ცოდნა/ამ კუთხით აზროვნება კარგი ქოუჩის მორიგი მახასიათებელია/ძირითადი ამოცანაა. აქ იგულისხმება მიზნებისა და თემების დაგეგმვა და ამორჩევა/შეთანხმება მთლიანი ქოუჩინგის განმავლობაში/პერიოდში, ასევე თემებს შორის კავშირების დანახვა და დეტალების მთლიან სურათსა და კონტექსტში აღქმა. რა ადგილი უკავია ცალკეულ ქოუჩინგ საუბარს მთლიანი ქოუჩინგის კონტექსტში.

ძირითადი საკითხები:

- რა სისტემური ცოდნა გამაჩნია, რა უნარებს ვფლობ - კაუზალური აზროვნება და მოქმედება თუ შემიძლია?
- რა უნარ-ჩვევები გამაჩნია გრძელვადიან დაგეგმარებაში, ხანგრძლივად დასამუსავებელ თემებს რამდენად ვუმკლავდები, რამდენად შემიძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა განსხვავებულ თემებსა და ამოცანებს შორის?

ზ) კავირების შეძენის (ნეთვორკინგის) კომპეტენცია

ქოუჩი მხოლოდ ცალკეულ ადამიანის პერსპექტივიდან კი არ უნდა წარმართავდეს ქოუჩინგ-საუბარს, არამერდ ურთიერთობებიდანაც უნდა ამოვიდეს, რომელიც

კლიენტის გარშემოა - ასევე სოციალური სტურქტურა რომელიც კლიენტზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზემოქმედებას ახდენს, ორგანიზაციული ასპექტები როგორიცაა კულტურა, მოვალეობები, გავლენები, ბაზრი/სექტორი და სამუშაო სიტუაცია/ატმოსფერო/სამუსაო გარემო. მუშაობისას ქოუჩი ამ ქსელში უნდა ოპერირებდეს აზროვნებდეს და მოქმედებდეს. ეს მოიცავს ასევე ნეთვორკინგის თემატურ(რაც ქოუჩინგის ამოცანა შეიძლება იყოს) ასპექტებს და კაუზალურ კავშირებს.

ძირითადი საკითხები:

- კლიენტთან დაკავშირებულ რომელ თემებს ვეხები/ რა თემებს ვფარავ?
- როგორ განვსაზღვრავ/ვაანალიზებ/აღვიქვავ კლიენტის მთლიან სიტუაციას ქოუჩინგის თემასტან მიმართებაში/ საკითხთან მიმართებაში.

თ) სოციალური და ინტერაქციის კომპეტენცია

კომუნიკაციის ხერხები/მეთოდების პროფესიონალური გამოყნება, პიროვნულად კარგი და გამორცეული/კანსაკუთრებულობამდე მიყვანილი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები ადამიანთა შორის ინტერაქციის პროცესში, გინდაც დუალური/ბილატერალური ან მრავალგანზომილებიანი/მულტილატერალური კონტექსტი იყოს; სხვა საჭირო თვისებებიც აუცილებელია.

ძირითადი საკითხები:

- რა კომუნიკაციის უნარ-ჩვევები გამაჩნია ჩემი ქოუჩინგ სამუსაოსთვის/რას ვიყენებ?
- მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა/მზად ვარ მათთან საუბრისთვის, არაკომუნიკაციური/ცალმხრივი რომ არ ვიყო და არც ბევრი საუბარით „გადავფარო“ კლიენტი?

ორგანიზაციის, გუნდების და პიროვნული ცვლილება/განვითრება დღეს მრავლადაა დღის წესრიგში. მაგრამ სამართლია თუ ვიტყვით, რომ ხშირად ქოუჩინგის ცნება ძალზე ზედაპირულად გამოიყენება ამ საკითხებთან მიმართებაში. მეექსე/მეშვიდე? სქემაში

ნაჩვენებია არა მხოლოდ ცვლილებების პროცესის ცელკეული სფეროები ცნებების სახით, არამედ სტიმულიც შეიძლება გახდეს თემებისა და საძღვების გარკვევისა და დადგენისთვის/ცხადყოფისთვის. ამ ტმებს კლიენტი წინარე საუბარშიაც შეიძლება შეეხოს ფასეულია თუ კი შევეკიტხებით და გადავამოწმებთ(საზღვრებს). თუ კი ამას ცხადს არ გავხდით, შეიძლება ამან გაურკვევლობა გამოიწვიოს და რთულ სიტუაციაში მთლიანი სამუშაო სხვა გზით წაიყვანოს ანდა ჩაშალოს.



*) ქოუჩინგის პროცესი, როცა საკითხი/საჭიროება პირადია სამუშაო კონტექსტთან კავშირშია. შინაარსობრივი სამუშაოს შემთხვევაში ანდა სხვა ადამიანთან არსებული პრობლემა საკითხთან მიმართებიტ მნიშვნელოვანია (მაგ.: გუნდური ქოუჩინგი)

**) კონტრაქტის საზღვრები ცვლილებების მიმართ / რამდენად ადვილია ცვლილებების შეტანა.

ნახ. 7: ცვლილებების პროცესის კონსულტირება

1.6 ეთიკა ქოუჩინგში

ქოუჩინგი, როგორც ცნება უმეტესწილად საუბრის, ცვლილების და შრომისნაყოფიერების/ნაყოფიერების/მიღწევის გაუმჯობესებასთან მიმართებაში გამოიყენება. რადგან პროფესიული თავისებურებების გარდა საქმე ეხება ადამიანურ და ურთიერთობის ასპექტებს, ეთიკურ-მორალური ასპექტებიც სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ქვემოთ მოყვანილია DBVC-ს და ICF-ს ეთიკური სტანდარტები.

სქემა 1: ქოუჩთა საერთაშორისო ფედერაციის ეთიკური სტანდარტები (ICF)

ზოგადად პროფესიული ქცევა- როგორ ქოუჩი...

1. ...მოვალე იმგვარად მოვიქცე, რაც ქოუჩინგის პროფესიაზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს თავიდან ავირიდო ისეთი ქცევა ან მოქმედება, რაც საზოგადოებაში ქოუჩინგის პროფესიის მიმღებლობასა და გაგებაზე ნეგატიურად შეიძლება იმოქმედოს.
2. ...ქოუჩინგის პროფესიასთან მიმართებაში, განზრახ არ გავაკეთებ ისეთ განცხადებებს, რომელიც მცდარია, ან შეცდომაში შემყვანი მტიკიცებებს არ ჩავწერ წერილობით დოკუმენტებში.
3. ...პატივს ვცემ ქოუჩინგის განსხვავებულ მეთოდებსა და მიდგომებს. მე პატივს ვცემ სხვის წვლილსა და გარჯას და არ გავასაღებ როგორც საკუთარს.
4. ...იმგვარი გამოთქმებისგან ტავს შევიკავებ, რომელიც პოტენციურად ჩემი გავლენის ბოროტად გამოყენებას შეუწყობს ხელს, სანამ დაკავებული ვარ ქოუჩინგის საქმიანობით და სხვების ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შემიძლია.
5. ...ყოველთვის შევეცდები/ჩემი მისწრაფება იქნება, ისეთი პირადი თემების ამოცნობა, რომლებმაც ჩემს ქოუჩინგის ნაყოფიერებასა და სამსახურებრივ ურთიერთობებზე უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინონ, ხელი შეუშალონ ანდა წინააღმდეგობაში მოვიდნენ მათთან. როგორც კი მდგომარეობა და ფაქტები

ამის საბაბს მომცემენ, პროფესიონალური დახმარება უნდა მივიღო სხვებისგან და გადავწყვიტო, თუ როგორი ჩარევაა საჭირო, რაც ქოუჩინგ საქმიანობის შეზღუდვას ან ჩემი პროფესიიდან ჩამოშორებასაც მოიცავს.

6. ...როგორც ტრენერი ან ქოუჩების/პოტენციური ქოუჩების სუპერვაიზორი ყველა ტრენინგში ან სუპერვიზიისას აი სი ეფის კოდექსის შესაბამისად ვიმოქმედებ.
7. ...კვლევებს კომპეტენტურად, გულწრფელად და აღიარებული მიმართულებების ფარგლებში ცავატარებ და დოკუმენტირებას გავუკეთებ. ჩემს კვლევას მონაწილეების სრული თანხმობის საფუძველზე განვახორციელებ ჩემი მეთოდები მონაწილეებს ყველა პოტენციური საფრტხოსგან დაიცავენ. ნებისმიერი კვლევითი საქმიანობისას გავითვალისწინებ ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, სადაც კვლევა ტარდება.
8. ... ჩემი როგორც ქოუჩის სამუშაო დოკუმენტებს იმგვარად ვაწარმოებ, შევინახავ ან გავანადგურებ, რომ კონფიდენციალობას დავიცავ და ყველა ამ საკიტხთან დაკავშირებულ კანონიერი ნორმის ფარგლებში.
9. ...აი სი ეფის წევრთა საკონტაქტო ინფორმაციას (ელექტრონული ფოსტის მისამართებს, ტელეფონის ნომრებს და ა.შ) მხოლოდ იმგვარი ფორმით და მოცულობით/მოცემულობით გამოვიყენებ, როგორც აი სი ეფშია ავტორიზებული.
10. ... მე პასუხისმგებელი ვარ, ნათელი, შესაფერისი, გონივრული და კულტურულად კონკრეტული საზღვრები დავაწესო, რაც განმსაზღვრელი უნდა იყოს ჩემს კლიენტტან ნებისმიერი ფიზიკური კონტაქტის.
11. ... ჩემს კლიენტთან არასდროს შევალ სექსუალურ კონტაქტში/სექსუალურ ურთიერთობას არასდროს დავიწყებ. და არც წავახალისებ.
12. ... ჩემს კლიენტთან ნათელ/ცხად კონტრაქტს დავდებ და ნებისმიერი სახის კონტრაქტს პროფესიულ ქოუჩინგ ურთიერთობის გათვალისწინებით პატივს ვცემ.
13. ... წინასწარ გასაუბრებაში/პირველადი კონტაქტისას ან ქოუჩინგის პირველ სესიაზე დანამდვილებით გავარკვევ, რომ კლიენტს ესმის ქოუჩინგის არსი, კონფიდენციალობის ვალდებულება, ფინანსური შეთანხმება და ქოუჩინგის კონტრაქტის სხვა პუნქტები.
14. ... კლიენტს მივაწოდებ ჩემი როგორც ქოუჩის კვალიფიკაციაზე, კომპეტენციასა და გამოცდილებაზე ნამდვილ ინფორმაციას.
15. ...ჩემს კლიენტებს განზრახ შეცდომაში არ შევიყვან ანდა მცდარ ინფორმაციას არ მივაწვდი იმაზე, რასაც ისინი ჩემგან როგორც ქოუჩისგან და ქოუჩინგის პროცესისგან შესაძლოა მოელოდნენ.
16. ... არ მივაწვდი კლიენტებს ისეთ ინფორმაციას და რჩევასაც არ მივცემ, რაც ვიცი ან ვფიქრობ/ეჭვი მაქვს, რომ შეცდომაში შემყვანია.

17. ... გაცნობიერებულად კლიენტისა და ქოუჩის ურთიერთობის რომელიმე ასპექტს, ჩემი პირადი, პროფესიული თუ ფინანსური სარგებლისთვის არასდროს გამოვიყენებ.
18. ... პატივს ვცემ კლიენტის უფლებას, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია ქოუჩინგის გაწყვეტა. მინიშნებებს/რეპლიკებს ყურადღებიბით დავუკვირდები, რაც იქითკენ მიანიშნებბს, რომ ჩემი კლიენტი ჩვენი ქოუჩინგ ურთიერთობიდან ვერარანაირ სარგებელს ვეღარ მიიღებს/აღარაა კლიენტისთვის სარგებლიენი.
19. ... როცა დარწმუნებული ვარ, რომ კლიენტი სხვა ქოუჩისგან ან სხვა რესურსის გამოყენებით მეტ შედეგს მიაღწევს/უკეთეს სამსახურს გაუწევს, წავახალისებ მას/ვურცევ რომ ეს ცვლილება განახორციელოს.
20. ...როცა მიზანშეწონილი და საჭიროა, ჩემს კლიენტს სხვა პროფესიის სამსახურს/მომსახურებას შევთავაზებ. სხვა დარგის სპეციალისტის.
21. ... როცა ჩემი კლიენტი გამოხატავს განძრახვას საკუთარი თავი ან სხვა ადამიანი საფრტხეში ჩააყენოს, ყველა შესაბამის ნაბიჯს გადავდგამ და შესაფერის უწყებებს საქმის ყურში ჩავაყენებ.
22. კონფიდენციალობა/ინტიმური სფერო.
23. ... პატივს ვცემ კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, იმ შემთხვევის გარდა როცა კლიენტი თავად მაძლვევს საავტორო უფლებას ან კანონით დადგენილ საზღვრებში.
24. ... ჩემი კლიენტისგან უნდა მქონდეს ნებართვა, სანამ მესამე პირს მივაწვდი ინფორმაციას ჩვენი ქოუჩინგის შესახებ, ვისგანაც კომპენაციას/ანაზღაურებას ვიღებ-კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარე.
25. ... კლიენტისგან უნდა მივიღო ტანხმობა, სანამ მის სახელს ან სხვა იდენტიფიკაციისთვის საჭირო ინფორმაციას გავცემ, როგორც კლიენტი ან რეფერენტი-კონსულტანტი-ექსპერტი.
26. ინტერესის კონფლიქტები
27. ... ინტერესის კონფლიქტებს ცემსა და ჩემს კლიენტს შორის თავიდან ავირიდებ.
28. ... როცა ინტერესთა კონფლიქტი წარმოიქმნება ან შესაძლოა წარმოიქმნას, ღიად განვიხილავ ამას ჩემს კლიენტთან, თუ როგორ ავიცილოთ ეს თავიდან ან მოვაგვაროთ, რათა მივაღწიოთ შეთანხმებას კლიენტის ინტერესის გათვალისწინებით კონფლიქტის საუკეთესო გზით/ოპტიმალურად მოგვარებაზე.
29. ... ჩემს კლიენტს ღიად მივაწვდი ინფორმაციას მესამე პირის მიერ გაღებულ კომპენსაციასა/ჰონორარსა და ანაზრაურებაზე, რაც შესაძლოა ამ კლიენტისთვის რჩევის მიცემაში მივიღე.
30. ... კოპენსაციაზე მოსახურებისა და ღირებულ საქონლის/ნივთის მიღების სახით ან სხვა არაფინანსური ჰონორარის სახით მხოლოდ მაშინ დავთანხმდები, თუ ეს ქოუჩინგ ურთიერთობას ზიანს არ მოაყენებს.

სქემა 2: DBVC-ს ეთიკის კოდექსი

(ადამიანის კონცეპცია და ეთიკის ფუნდამენტური გაგება/საფუძვლები დვბც-ს ქოუჩებისთვის)

- კავშირი სამყაროსა და ადამიანის კავშირი
  ადამიანი თავისი ცხოვრებისული გარემოს ნაწილია. ქოუჩინგის ფოკუსია ადამიანი თავისი ყველა ცხოვრებისეული საქმიანობით.
- ადამიანის ღირსება
  ადამიანის ღირსება ხელშეუვალია. ღირსებიდან მომდინარეობს ფუნდამენტური მიდგომა/ატიტუდი ქოუჩინგში მონაწილე ადამიანისა მის პროფესიულ გარემოში/ურთიერთობებში. თანასწორობა უპირველესია/კავშირშია ეგზისტენციალურ არსთან/ეგზისტენცილური გაგებით, მაშინაც კი როცა ქოუჩინგის/კონსულტირების ურთიერთობა ასიმეტრიულია(კონსულტანტი/ქოუჩს სტხოვენ რომ მართოს პროცესი)
- ადამიანი, როგორც დიალოგური არსება
  ადამიანი თავისი განვითარებისთვის და საკუთარი თავის გაგებისთვის/შემეცნებისთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში დამოკიდებულია სხვა ადამიანებთან ურთიერთობაზე; ასე რომ „დიალოგური ეგზისტენცია" ნიშნავს როგორც ადამიანის ფუნდამენტურ მდგომარეობას, ასევე მოქმედების მაქსიმასაც. ქოუჩინგი როგორც პროფესიული „მუსაობა ადამიანებზე" ხელს უწყობს/წაახალისებს კლიენტის მზაობას დიალოგისთვის და უნარს/შესაძლებლობას დიალოგისთვის და წარმოადგენს ტავად დიალოგური მოქმედების მოდელს.
- ადამიანი ამოუწურავია
  ადამიანი ღირებულია თავისი ფუნქიების მიღმა/უსაზღვროა. ქოუჩინგი ემსახურება იმას, რომ გააუმჯობესოს/ხელი შეუწყოს როგორც ადამიანის ფუნქციის განვიტარებას ასევე ადამიანური ყოფიერების/ჰუმანურობის/თვითმყოფადობის/პიროვნულობის რეფლექსიასა და განმტკიცებას.
- ადამიანის მზაობა/ღიაობა განვითარებისთვის
  ადამიანი ღიაა აქამდე განუხორციელებელი ცხოვრებისეული შესაძლებლობებსითვის. მას შეუძლია მთელი ცხოვრების განმავლობაში განვითარდეს და გაფურჩქნოს თავისი პოტენციალი/ნიჭი. ქოუჩს წვლილი შეაქვს

კონსულტირების-ურთიერთობაში, რომ კლიენტი გახდეს ის რაც შეუძლია და რაც უნდა რომ იყოს.

- ადამიანის ნების თავისუფლება

  არსებული განსაზღვულობის მიუხედავად ადამიანი თავისუფალია. მას აქვს არჩევანის თავისუფლება თავისი ცხოვრების მოცემულობა/ მიიღოს, შეცვალოს ან უარი თქვას. ქოუჩი კლიენტს ეხმარება უპირვლეს ყოვლისა არსებული რეალობის სოციალური და სიტუაციური ფაქტორების/პირობების/საზღვრების აღქმაში, და მეორესმხრივ კრეატიულ, შემოქმედებით მიდგომის განვითარებაში.

- ადამიანის მთლიანობა

  ადამიანი არ იყოფა. ის არის სხეული სულისა და სამშვინველის ერტიანობა და როგორც ასეთი ცხოვრობს ინტერპერსონალურ, დიალოგურ ურთიერთობებში.

- შემეცნების უნარის საზღვრები

  ადამიანი პრინციპულად უფრო მეტია ვიდრე მას მიაწერენ, მის ტიპოლოგიას აკეთებენ. ქოუჩი აცნობიერებს საკუტარი შემეცნების უნარის საზღვრებს.

- სამუშაო ცხოვრების ეგზისტენციური ნაწილია

  სამუსაო არის ადამიანის ეგზისტენციალური მიღწევის არსებითი განმსაზღვრელი/სახასიათო ნიშანი. ასე რომ ადამიანი სამუშაო გარემოს/სამყაროს ინსტიტუციონალიზაციით დაზღვეულია კიდეც და მოწყვლადიც. ქოუჩი ხელს უწყობს აღქმასა და რეფლექსიას არსებული ინსტიტუციონალური გარემო-პირობებისას და მასთან დაკავშირებულ ამბივალენტობის.

- ძალაუფლება ადამიანთა შორის ურთიერთობის შემადგენელი უბრალო ელემენტია

  ძალაუფლება აუცილებელი პირობაა შესაძლებლობისთვის, ადამიანებს შორის მოქმედების ლეგიტიმური წესრიგის ფაჵრგლებში, საკუტარი სურვილი მრავალგვარი კონფლიქტური ინტერესების შეჯახებისას განვახორციელოთ. რადგან მმართველები/ლიდერები ვალდებულები არიან ადამიანებზე გავლენა მოახინონ, ქოუჩი ეხმარება მათ ძალაუფლების აღმაში და მის ცნობიერად გამოყენებაში კანონიერი ინტერესბის გათვალისწინებით/ფარგლებში. ის განასხვავებს ძალაუფლებას გავლენისგან ასევე ხშირად სინონიმად ნახმარი ცნებისგან ძალადობისგან-უფლებამოსილი პირის/ თავისი ინსტურმენტული თავისებურებით.

1	თემა	დასრულება და განახლება	E
წინაპირობები ქოუჩისთვის		• კუბლერ როსის (**Kübler-Ross**) თეორიებისა და ორგანიზაციული კონტექსტის ფაზების **(Piber/Sassen)**	

	ცოდნა • პროცესუალური აზროვნება(Process Thinking) • კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საფუძვლების ცოდნა
მიზნები	• თემების,აქტივობების, წარმოდგენების დასრულება და ახალი სტარტის აღება. • დასრულების პროცესის ცნობიერად წარმართვა • შეგებლოს ახალი კონტექსტების, წარმოდგენების ან მასთან დაკავშირებული წარსულის თემების დასრულება
საწყისი სიტუაცია/მდგომარეობა	ქოუჩინგის კლიენტს შემოაქვს/საუბრობს ახალი თემა, რომლის გაგრძელებაც არ სურს ან არ შეუძლია, თუმცა დარწმუნებულიც არაა, რომ ახლის დაწყება ღირს. კლიენტისთვის სიტუაცია უკვე გაუსაძლისი ხდება. ცვლილებების წნეხი, განსაკუთრებით „გარედან"(უცხო თვალისთის) შესამჩნევია.
ინდიკატორები	• „მე სიამოვნებით ... დავიწყებდი/ შევცვლიდი/ დავნერგავდი, მაგრამ თავს ვერ ვართმევ..." • კლინტი გრძნობს წნეხს, რაც ცვლილებებისკენ უბიძგებს, თუმცა ვერ ხედვას მიზეზს. • ძველსა და ახალს შორის კავშირია გაწყვეტილი, ხიდია ჩატეხილი. • უარყოფა იმისა, რომ ძველ ასპექტებს/საკითხებს ახალთან, განუხორციელებელ გეგმასთან რაიმე კავშირი აქვს. • დამაბრკოლებელი გარემოები კლიენტში ხშირად წარმოშობს ბრაზსა და მრისხანებას, რაც მას აბრკოლებს და წინსვლაში ხელს უშლის. • არანაირი მზაობა, „ძველის"... უკან მოტოვებისა.
სავარავაუდო ხანგრძლივობა	დაახლოებით 30-90 წუთი, რაც დამოკიდებულია პრობლემის ინტენსივობასა და სიღრმეზე.
მიდგომა **პროცედურა**	1. კრიტიკული რეაქციების/მომენტების შეჯამება. დაუსრულებელის, გაწყვეტის კრიზისული პროცესი ნათლად ჩანს/სახეზეა? ემოციურ ამოფრქვევებს ხომ არ აქვს ადგილი? 2. შინაგანი ჰიპოთეზის სემუსავება „დასრულების'

	მოდელზე დაყრდნობით. 3. ქოუჩინგის კლიენტთან მუშაობა შესაბამისი სტადიის გატვალისწინებით, რომელიც გამონათქვამებითა და რეაქციებით ამ წუთას ვლინდება და მოსმენადია. **ქოუჩის სამუშაო** *1 ფაზა:* • როგორ დაინახავდნენ ქუჩის კლიენტს სხვა ადამნები (განსხვავებული ხედვების იდენტიფიცირება). • ქოუჩის უკუკავშირი (როგორ აღიქვავს ქოუჩი ამ ხედვებს) • ურთიერთსაპირისპირო გამონათქვამების დამუშავება(პასუხი არ შეესაბამება კითხვებს, კლიენტს საუბარი სხვა მიმართულებით მიჰყავს - საკვანძო სიტყვებს/თემებს ხშირად ცვლის, კლიენტისტვის აქტუალური, სენსიტიურ თემებს თავს არიდებს) • ასევე მიმდინარე აქტუალური ისეთი საკითხების განხილვა, რაც კლიენტს ურთულებს სიტუაციის მთლიანობაში აღქმას. • როცა კლიენტისთვის ახალ პერსპექტივა მისაღებია, ამ მიმართულებით გრძელდება სამუშაო (იხილეთ ასევე „დევალვაცია/ჩამოფასება“, განსაკუთრებით 4. ხარისხის). *2 ფაზა:* აქაც შეიძლება სიტუაციის სხვისი თვალით შეფასება (კოლეგების, თანამშრომლების, მეგობრების, ოჯახის წევრების, ქოუჩის) ეს ბრმა ზონას გამოააშკარავებს. წინააღმდეგობის შემთხვევაში, სასარგებლოა დამათებითი კითხვები, რათა გამოიკვეთოს, რას ემყარება ეს წინააღმდეგობა, სხეულებრივად როგორ გამოიხატება/სხეულში რას გრძნობს... რა აზრები გაურბენს ამ დროს თავში (შეამოწმეთ ატიტუდი საკუთარი თავის მიმართ, სხვა ადამიანების, ან „სამყაროს“ მიმართ). შესაძლებელია მინიშნებები ან კონფრონტაციის მეთოდის

გამოყენება რეინტერპრეტაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყოს.

ფაზა 3:

ქოუჩის მთავარი ამოცანაა, გამომწვევი მიზეზების კვლევაა/ძიებაა (იხილეთ მეთოდი ლემნისკატა). დაკვირვებითა და კითხვებით კლიენტის ქცევის სახესთან დაკავშირებით გამოაშკარავდება წნეხის პატერნი (დრაივერი Antreiber). ადამიანები ამ სიტუაციაში ისე იქცევიან, როგორც სტრესის ქვეშ ყოფინისას და იხენებენ ძველ პატერნებს, მოდელებს, წარსულის სლოგანებს. მაგალითად, როგორ უნდა გაუმკლავდეს ადამიანი ისე, რომ წარმატებას მიაღწიოს.

ფაზა 4:

აქ ქოუჩმა შინაგან სტაბილიზებაზე უნდა გაამახვილოს განსაკუთრებული ყურადღება. ენერგიის დაზოგვა შეიძლება წაადგეს გადაწყვეტილები პროცესს („როგორ წარმოგიდგენიათ პრობლემასთან დამშვიდობება?“). კლიენტს შეიძლება გაუჩნდეს უმწეობის განცდა, ჰგონია რომ გავლენის მოხდენა არაფერზე ძალუძს, ამ შემთხვევაში OK-ატიტუდის გაძლიერებაც დამხმარე მექანიზმია. OK-მდგომარეობა შეგიძლიათ გაამყაროთ ისეთი კითხვებით როგორიცაა „ბოლო დროს სად განიცადეთ წარმატება/რაში იყავით წარმატებული?“ ან „უწინ მსგავს სიტუაციაში რა გააკეთეთ, რაც წარმატებული აღმოჩნდა?“. თუ კლიენტი დაიწყებს გაცნობიერებას და ამას ვერბალურად ან არავერბალურად გამოამჟღავნებს, ქოუჩმა ამ დროს შეიძლება ეფექტი გააძლიეროს. მაგალითად, კლიენტის დასაფიქრებლად შეიძლება ქოუჩმა იკითხოს „რას ტოვებთ წარსულში?“, ან „მე ვხედავ, რომ მშვიდად ხართ/დაფიქრდით/ყოყმანობთ. ხომ არ გინდათ რაიმე დაამატოთ/რას იტყვით ამაზე?“. ან „თუკი, წარმოსახვით უკან დაბრუნდებით, როგორ დაინახავთ ახლებურად სიტუაციას/ახლებურად როგორ გამოიყურება სიტუაცია?“.

ფაზა 5:

ნათელი მომავლის რწმენა მიიღწევა ერთის მხრივ ემოციური ძალის გაძლიერებით (უკუკავშირი, პოზიტიური ასპექტების

	აღწერა, გამყარება რასაც როგორც ქოუჩი ვხედავ). მეორე მხრივ მნიშვნელოვანია, იმის დადგენა, თუ როდის (როდემდე), როგორ, და რა მნიშვნელობის ნაბიჯები უნდა გადაიდგას. 4. როცა კლიენტს შეეძლება „ძველი სიტუაცია" დაასრულოს, გადადით ახალი სიტუაციის დამუშავებაზე. არსებითი ამოცანაა, მომავლის ხედვის პოზიტიური ემოციებით გააძლიერება და კლიენტისთვის ბიძგის მიცემა. ამ გზით ცვლილებებისადმი სტრესი იკლებს და კლიენტი პოზიტიურად იმუხტება. *ვარიანტი:* მომავლის პერსპექტივიდან გამომდინარე შესაძლებელია, ამჟამინდელი წინაღობები გამოვავლინოთ. ამ პერსპექტივით ხანდახან ჩანს ჯერ განუხორციელებელი, მაგრამ სასურველი მდგომარეობა. ამ შემთხვევაში ქოუჩს შეუძლია მოცემული მეთოდის ფაზების რეტროსპექტიულად გაჰყვეს და საწყისად (პირველ ფაზად) "მომავალი" აიღოს. 5. საკითხი მაშინ ამოიწურება, როცა პოზიტიურად ფორმულირებული კრიტიკული შეკითხვების დასმით ქოუჩი რწმუნდება, რომ კლიენტი დასახულ გზას გაივლის. პოზიტიურად ფორმულირებული კრიტიკული შეკითხვები შეიძლება იყოს: „როცა ახალს... დაიწყებთ რა სახით შეიძლება ძველმა საკითხმა თავი იჩინოს? რა მოხდება, თუკი ვინმე ამ თემაზე დაგელაპარაკებათ? როგორ შეიძლება შემტხვევით მომავალი სიტუაცია ამჟამინდელს დაუპირისპირდეს? თავს როგორ იგრძნობთ ამ შემთხვევაში?
ავტორი	ვერნერ ფოგელაუერი
დამატებითი ლიტერატურა	Elisabeth Kübler-Ross: reif zum Tode, Kreuz-Verlag, Stuttgart 1975 Kraus/Piber/Tichy/von Sassen: Schrumpfende Markte, Signum-Verlag, wien 1986 (Beitrag Piber/von Sassen uber krisenverlaufe,

	S. 189ff)

სქემა 3: „კრიზისის მიმდინარეობის“ მოდელი (Piber, H. von Sassen, H)

ფაზები	ქცევა	დამახასიათებელი ნიშნები
ფაზა 1	(კრიზისების) სიგნალს ვერ ხედავს	კრიზისის ნიშნები არსებობს, თუმცა კლიენტი ვერ აღიქვამს. პრინციპული გამომწვევი მიზეზი (პიბერის და ზასენის მიხედვით), გაბატონებული ატიტუდებია - განათლება, ინფორმაციის ტენდენციური სელექცია, მისხელთარსებული არხების გამოუყენებლობა (მაგალითად სხვა ადამიანის).
ფაზა 2	კრიზისის აღიარება არ სურს	აღქმის გამრუდება, ცვლილების მიმართ შინაგანი წინააღმდეგობა თავდაცვის ერთ-ერთი მექანიზია რომელსაც კლიენტი აქტიურებს. სინამდვილის „ინტერპრეტაცია“ ხდება, მაგალითად პიროვნება მხოლოდ იმას იღებს რაც “თეთრით შავზე წერია“ ან მათემატიკურად/მეცნიერულად დამტკიცებადია.
ფაზა 3	ჰიპერაქტიული რეაქცია, აგრესია	აქ საქმე გვაქვს გაქცევასთან. კლიენტი მუდმივად დაკავებულია გაუანალიზებელი, ქაოტური ქმედებებით. კლიენტი ახდენს შინაგანი კონფლიქტის პერსონალიზებას, ეძებს დამნაშავეებს, ახდენს ძალის დემონსტრირებას, იღებს მოკლევადიან, წინააღმდეგობრივ მყისიერ (ad-hoc) გადაწყვეტილებებს.
ფაზა 4 ა)	დეპრესია	მესამე ფაზის დასრულებას მოჰყვება ენერგიის კლება. ქაოტურ ქმედებები იკლებს ან იცვლება, თუმცა კლიენტი სხვების დადანაშაულებას კვლავ განაგრძობს: „სამყარო სასტიკია“! უმწეობის განცდა და არაღიარება დეპრესიულ განწყობას ქმნის.

ფაზა 4 ბ)	გააზრება	შეიძლება შინაგანმა გარდატეხამ „მხნეობიდან“ „დანებებამდე“ კლიენტი დააფიქროს თუ რა როლი ითამაშა მომხდარში. ამ გზით ის შეიძლება გათავისუფლდეს არსებული აზრებისგან, უწინდელი პროცესებისგან, ჩვევებისგან, ქცევის წესებისგან, და ატიტუდებისგან. ძველისგან გათავისუფლება წინაპირობაა განახლებისთვის.
ფაზა 5	რწმენა	საკუტარი თავის და სხვების მიმართ ნდობა იზრდება, განწყობა და კლიმატი უმჯობესდება, ჩნდება ოპტიმისტური აგანწყობა და მომავალიც უფრო ნათელი ხდება.

ეს კონცეფცია და ასევე დასრულების მოდელი სიკვდილის მკვლევარის ელიზაბეთტ კუბლერ-როსის ნაშრომს ეფუძნება. მან საკუთარ ნაშრომში გამოყო ხუთი სტადია. პირველ სტადიას „უარყოფა“ („არა, მე არა!“). მეორე სტადია აღწერა, როგორც „ბრაზი, რისხვა“ („რატომ მე“). როცა ადამიანი შეიტყობს რომ მომაკვდავია, უმეტესად განრისხდება ხოლმე „უმაღლესი პასუხისმგებელი ინსტანციის” -ღმერთის მიმართ. მესამე ფაზას კიუბლერ-როსი „ვაჭრობას“ არქმევს. აქ უკვე სიკვდილის გარდუვალობა გაცნობიერებულია. იწყება ღმერთთან ვაჭრობა, რომ ერთი ან ორი კვირით მეტი დრო მიეცეს. მეოთხე სტადიას ჰქვია „დეპრესია“ („დიახ, მე!“). კლიენტი გლოვობს განვლილ ცხოვრებაში დაშვებული შეცდომების ან დანაკარგების გამო. სიჩუმეში პიროვნება მწიფდება, მას უკვე შეუძლია აღარ იდარდოს რაღაცებზე. მეხუთე სტადიას კიუბლერ როსმა „მიღება“ დაარქვა, ადამიანი არც უბედურია არც ბედნიერი. ესაა „გამარჯვება საკუთარ თავზე“.

2	თემა	დასრულების პროცესი და მისი სამი დონე	E
წინაპირობები ქოუჩისთვის		• სამუშაო მეთოდური, როგორც ფსიქოლოგიური საფუძვლის ცოდნა თემის სისტემური/მთლიანი დამუშავებისთვის, • ემპათია/სენსიტიურობა და ტაქტიანობა სიტუაციის მიმართ, • დასრულების შესაძლებლობა/უნარი	
მიზნები		• კლიენტისა და თემის გაშვება/გათავისუფლება ამისგან • ქოუჩინგის პროცესი ცნობიერად დაამთავროს რამდენიმე დონეზე	
საწყისი სიტუაცია		ყველა ქოუჩინგის პროცესი ერთხელ მთავრდება, ამასტან მნიშვნელოვანია, ეს პროცესი მხოლოდ რაციონალურად კი არ დავასრულოთ „მადლობა, მომავალ შეხვედრამდე“, არამედ წარმოქმნილი/გაჩენილი ემოციური და სულიერი/მშვინვიერი ასპექტები სამუსაო ურთიერთობისა ავიტაცოთ/დავიჭიროთ და კონკრეტულად დავასრულოთ. სულ ერთია, ცოტა თუ ბევრი დრო გავიდა ქოუჩინგის პროცესში, ერთობლივი საუბრის და სამუშაო პროცესი დაფასებულ და დასრულებულ უნდა იქნას.	
ინდიკატორები		• უკანასკნელი საათი ქოუჩინგის ახლოვდება, მაგრამ კლიენტს არ სურს შეწყვეტა. • ქოუჩი გრძნობს მიჯაჭვულობის, თანაგრძნობის თანა/სიხარულის განცდას; არ უფიქრია დასრულების რიტუალსა თუ პროცესზე.	
მიდგომა/ პროცედურა		ქოუჩი ცნობიერად მიმართავს/აღიქვამს ქოუჩინგ სამუსაოს დასასრულის სამ დონეს და ამ მხირვ შეეწყობა კლიენტს. ეს სამი დონე შეიძლება ვაჩვენოთ კლიენტს ან სიტყვიერად განვიხილოთ. ქოუჩს ასევე შეუძლია, თითოეული დონის მიხედვით შესაბამისი კითხვა დასვას და მინიშნება მისცეს კლიენტს აზრიანი დასასრულისთვის.	
ავტორი		ვერნერ ფოგელაუერი	

სქემა მეოთხე: ქოუჩინგის პროცესის დასასრულის სამი დონე

პროცესები	შინაარსები	მინიშნებები, მაგალითები
მშვინვიერი პროცესი	„გადართვა“/ცვლილება (ღირებულებების, ატიტუდის, იდენტობის...)	ახალი შინაარსითა და შინაგანი გრძნობებით და ამით განპირობებული ატიტუდის ცვლილების გაცნობიერება, ცნობიერი გადასვლა აქამდე ფორმირებულიდან ახალ ღირებულებებსა და თანხმობაზე
რაციონალური პროცესი	„გადაცემა“ (არსებითი ელემენტი)	„ძველი“ დროთა განმავლობაში დაინგრა/გამოეცალა იმ წერტილამდე, სადაც „ახალი“ წინა პლანზე გამოდის. ფუნქციონრება და სტრუქტურა ცენტრში დგას.
ემოციური პროცესი	„დამშვიდობება“	დამშვიდობების აღნიშვნა შეეძლოს/შესაძლებლობა, თავისით გადახარშოს შეგრძნება მოწესრიგებული ტრანსფერისა/გადაცემის, შეჯამება ერთად გატარებული დროის, გაშვება-დამშვიდობება, ცუდი და კარგი დროების/ამბების შეჯამება, ნაღველის სევდის მიღება და აქტიური გეშტალტი/ფორმირება, გაცხადება ცხადად დანახვა თუ რა მოხდება შემდეგში.

3	თემა	გაუფასურება/ღირებულების კლება-ამოცნობა და დამუშავება	H
წინაპირობები ქოუჩისათვის		• ტრანსაქციული ანალიზის საფუძვლების ცოდნა • არავერბალური და ვერბალური კომუნიკაციის ყურადღებით/სიფხიზლე წაკითხვის უნარი	
მიზნები		• ქცევის დესტრუქციული მხარეების ამოცნობა • ბლოკირების და პრობლემის გადაჭრის წინააღმდეგობების გაცნობიერება • გამოყენების/დაწყების გზების პოვნა (ქცევის) ცვლილებებისთვის	
საწყისი სიტუაცია		მოსაუბრე აღწერს მაგალითად თავისი სამუსაო გარემოდან სიტუაციას ისე რომ **სათანადოდ ვერ აფასებს** მას; თავად სიტუაციას („ეს არც ისე ცუდია...“), თავად საკუთარ თავს („ჩემთვის ეს ისეთს არაფერს ნიშნავს...“) და სიყუაციის მონაწილეებს („ის ვერაფერს დამაკლებს კაცმა რომ თქვას...“).	
ინდიკატორები		• კლიენტი სათანადოდ ვერ აფასებს სიტუაციას, საკუთარი ან სხვების პერსპექტივიდან. • გამღიზიანებლის, მნიშვნელობის, და გადაჭრის შესაძლებლობის ვერ შეფასება, როგორც ზოგადად ასევე პირადი შესაძლებლობების ამ კუთხით	
საშუალო დრო		საშუალოდ 20-30 წუთი	
პროცესი		1. სიტუაციის აღწერა 2. ქოუჩი შესთავაზებს კლიენტს, მისი განსხვავებული გამონათქვამები (მაგალითად „ჩემთვის ეს ისეთს არაფერს ნიშნავს...“) უფრო დაზუსტდეს/ახლოდან შეხედონ. 3. ან წავუდგინოთ მოდელი მერვე სქემის მიხედვიტ ან მესამე მაგალითის შესაბამისად გამონათქვამები გავიმეოროთ, როგორც მე-ქოუჩმა ეს გავიგე. ჩავინიშნოთ გამონათქვამები და მოვაწესრიგოთ მოდელის მიხედვით. 4. მოდელის წინასწარი გაცნობის შემდეგ შემიძლია შევთავაზო კლიენტს, თავისი უწინდელი საკუთარი გამონათქვამები(შეიძლება ახსოვდეს, ანდა შემიძლია ჩანაწერების მიხედვით შევახსენო) მოდელის მიხედვით	

	მოაწესრიგოს. ერთ-ერთი ვარიანტია პირდაპირი შეკითხვის დასმა (მაგ.„ჩემთვის ეს ისეთს არაფერს ნიშნავს...“ – „რატომ მიყვებით ამას?“ ან „როგორ იგრძენით თავი ამ სიტუაციაში?“ ან „ფიქრობთ, რომ თქვენი პერსპექტივიდან დანახული სიტუაცია თავისით გამოსწორდება?“ 5. რეალობასთან სხვაგვარი მოპყრობის/დამუშავების/დამოკიდებულების შესაძლებლობების/გზის შემუშავება.
ავტორი	A.& J. Schiff, K. Mellor, E. Sigmund
დამატებითი ლიტერატურა	I.Stewart/V. Joines: Die Transaktionsanalyse, Freiburg i.Br. 2009 A.& J. Schiff u.a.: Cathexis reader, transactional analysis treatment of psychology, New York 1995 K. Mellor, E. Sigmund: Discounting, TAJ, 3/1975, S.295 ff.



სქემა 8: ღირებულების გაუფასურების შესაძლებლობები

ნახაზი 5: გაუფასურების ხარისხი (ზიგმუნდის და მელორის შესაბამისად)

... არსებობა (მეოთხე ხარისხის გაუფასურება)
მაგ. : მე არ გამიგია, ჩემს ცოლს უარი ეთქვას.
... მნიშვნელობა (მესამე ხარისხის გაუფასურება)
მაგ.: ამას მნიშვნელოვანდ არ ვხედავ, რაც Xმა მითხრა.
... ცვლილების შესაძლებლობა (მეორე ხარისხის გაუფასურება)
მაგ.: ამის საწინააღმდეგოდ ვერაფერს გავაკეთებ, თუ კი ასე გაგრძელდა.
... პიროვნული/საკუთარი შესაძლებლობები (პირველი ხარისხის გაუფასურება)
მაგ.: კანიდან ხომ არ გავძვრები, რარა უნდა ვქნა მეტი...

<table>
<tr><td>4</td><td>თემა</td><td>თვითცნობიერება</td><td>R</td></tr>
<tr><td colspan="2">წინაპირობები ქოუჩისთვის</td><td colspan="2">ფსიქოსოციალური ცოდნის საფუძვლები
შინაგანი წონასწორობა/ბალანსი/შინაგანი სიმშვიდე</td></tr>
<tr><td colspan="2">მიზნები</td><td colspan="2">მიზნებს შორის არსებულ გარკვეულ საკითხებზე ფოკუსირება
უფრო მეტის შეცნობა ვიდრე ზედაპირული სიტყვები და ემოციური სიტუაციაა
სწავლა, კონცეტრირება თანაგრძნობასა და საკუთარ მოთხოვნილებებზე</td></tr>
<tr><td colspan="2">საწყისი სიყუაცია</td><td colspan="2">კლიენტი მიდრეკილია ზედაპირულობისკენ კომუნიკაციაში და მხოლოდ მოსმენილით ან ზოგადით შემოიფარგლება. გამომწვევი მიზეზები, მოთხოვნილებები, სურვილები არაა გაცნობიერებული და დანახული.</td></tr>
<tr><td colspan="2">ინდიკატორები</td><td colspan="2">კლიენტი არ ისმენს(უკვე ნათქვამს ზლივს იმეორებს/უჭირს განმეორება)
ზედაპირული აღქმა, მნიშვნელოვან საკითხებზე კლიენტი ყურადღებას არ ამახვილებს,</td></tr>
<tr><td colspan="2">საშუალო დრო</td><td colspan="2">დაახლოებით 15-45 წუთი (მეთოდის გამოყენების ინტენსივობიდან გამომდინარე)</td></tr>
<tr><td colspan="2">პროცესი</td><td colspan="2">ქოუჩი ამჩნევს გულმავიწყობას, შინაარსის ნახტომისებურ, ზედაპირულ არასრულ რეფლექსიაში ანდა კომუნიკაციაში, რაც ყურადღების ნაკლებობასა და დეფივიტზე მიანიშნებს. ის კლიენტს შემდეგი კიტხვებით მიმართავს: „მე ვამჩნევ, რომ გარკვეული სირთულეები გაქვთ კონცეტრირებასთან დაკავშირებით“, ან „ ჩემი აღქმით, თქვენი პასუხები ზედაპირული და არასრულია“, ან „რაც ტვალში მხვდება ეს ნახტომისებური არასრული გადმოცემაა/აზრების არეულ-დარეულად გადმოცემა/ მშფოთვარე-მოუსვენარი რეაქციები. თქვენც ასე აღიქვამთ? თქვენც გრძნობთ ამას?“
თუ კლიენტი ამას ადასტურებს ან ტავიდან გაკვირვებულია, ხოლო ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ მაინც თანხმდება, ქოუჩს შეუძლია სპეციფიური სამუშაო შესთავაზოს ამასტან დაკავშირებით. მაგალითად ქოუჩს შეუძლია აქ-და-ახლა კლიენტს ყურადღების სავარჯიშო შესთავაზოს (რის განმეორებაც კლიენტს დამოუკიდებლად სახლშიც შეეძლება):<ol type="a">
სუნთქვაზე კონცეტრირდეს ხოლო სხვა ყველა ფიქრი და მიღმა მიედინებოდეს, როგორც მდინარე.
კონცეტრირდეს ერთ წინადადებაზე, რომელსაც თავად კლიენტი საკუთარი თემის ძირითად წინადადებად მიიჩნევს</td></tr>
</table>

	c. საკუტარი თემის მნიშვნელოვანი ცნებები სურათად/ხატებად წარმოიდგინოს ან ნაწერის სახით გააცხადოს მშვინვიერი თვალის წინაშე. d. შინაგანად სანთელი წარმოიდგინოს, საიდანაც ძირითადი საკითხი ამოციმციმდება. და ა.შ შეთავაზება ქოუჩისა, რომ კლიენტმა მეტი ცოზიერება შეიტანოს თავის ცხოვრებასა და სიტუაციებში, შეიძლება იყოს: • ცალკეული მოქმედებები/სხეულის მოძრაობები ნელა და ცნობიერად ყურადღებით გააკეთოს. • საუბარი (წინასწარ ინფორმირებულ, გამგებ, დაახლოებულ) მოსაუბრესთად/მეგობარტამ ხანდახან შეწყვიტოს და ნათქვამს პერეფრაზირება გაუკეთოს. • საკუთარი ყოველდღიურობა ფაზებად წარმოიდგინოს, სადაც აღქმა, გრძნობები და აზრები თითქოს ცალკე/გარეთ არსებული ნაკადია და კლიენტი მას ყურადრებით აკვირდება-თითქოს მდინარის პირას ზის და დინებას უყურებს/აკვირდება. კლიენტის თანხმობით, ქოუჩს შეუძლია თემასთან კავშირში ზემოთჩამოთვლილი შესაძლებლობები პირდაპირ სესიის განმავლობაში განახორციელოს, რათა კლიენტმა პირველი გამოცდილება მიიღოს. სავსებით შესაძლებელია-მოკლე პერიოდში- პოზიტიური გამოცდილება მიიღოს კლიენტმა- შენელებით, გაცნობიერებით და უკეთესი კონცეტრაციით, ასევე პოზიტიური შედეგები.
მითითებები	გაცნობიერება ამცირებს სტრესს. ცნობიერებაზე დაფუძნებული სტრესის შემცირება, კაბატ-ზინის მიხედვით, ადამიანთა უმრავლესობისთვის ყოველდღიური ტრანსიდან მომდინარეობს. ადამიანებს თითქოს „ავტოპილოტი" მართავს. ცნობიერება ყურადღების გაფანტოულოს საწინააღმდეგო ნიჭია. კაბოტ-ზინი ცნობიერებაში გულისხმობს აქტუალულ/აწმყოში განცდილზე ყურადღების მიქცევას. წამიდან წამამდე. და რასაც აღვიქვამთ არ შევაფასოთ. მაგალითად, „მე ვჭამ , როცა ვჭამ, მე დავდივარ, როცა დავდივარ, მე მძინავს როცა მძინავს"(ასე უპასუხა ძენის ოსტატმა შეგირდს კითხვაზე, თუ რით ვიცნობთ განათლებულ ადამიანს). ცნობიერება შეიძლება გავიგოთ, როგორც სავარჯიშო, სამშვინველის დისტანცირებულ დასაკვირვებლად/საჭვრეტად, სამშვინველის გაწონასწორებული მდგომარეობის მისაღწევად და ჩასაწვდომად; რაც არაცნობიერში იმალება და ფიქრის/აზროვნების და გრძნობის დაფარული მოდელია იმის შესაცნობად. ცნობიერების მედიტაციას შეიძლება ასევე არაჩვეულებრივი სავარჯიშოს

	ფუნქცია ჰქონდეს, საკუთარ აღქმას დავუმორჩილოთ ყურადღება და ცნობიერება??? ზ. ივანოვსკის და გ. მალჰის, ორი ავსტრალიელი მკვლევარი მიხედვით, ფსიქოლოგიურმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ცნობიერებას მივყავართ მეტ სიფხიზლემდე/გულისხმიერებამდე, კონცეტრაციამდე და ღიაობამდე ახალი გამოცდილებისთვის.
ავტორი	ვერნერ ფოგელაუერი
დამატებითი ლიტერატურა	J. Kabat-Zinn: Zur Besinnung kommen, Freiburg 2005 R. Kurtz: Hakomi-eine korperorientierte Psychotherapie, Munchen 1994 M. Bohus/M. huppertz: Wirkmechanismens achtsamkeitsbasierter Psychotherapie, Zeitschrift fur psychiatrie, Psychologie und Psychotherapie, 54 2006, 265-276

5	თემა	აქტიური მოსმენა და რეფლექსია	R
წინაპირობები ქოუჩისთვის		• აღქმისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საფუძვლების ცოდნა	
მიზნები		• ვუჩვენოთ კლიეტს, თუ რა მოვიდა მისი ნალაპარაკევიდან ცვენამდე • კლიენტს მივცეთ შესაზლებლობა, განასხვავოს „ნათქვამი“ და „ნაგულისხმევი“ ერთმანეთისგან/გაცნობიეროს • ინფორმაციის რეფლექსიით გადავამოწმოთ, შეესაბამება თუ არა შინაარსი სინამდვილეს	
საწყისი სიტუაცია		საწისი სიტუაციისთვის განსაკუთრებით შესაფერისი პროცესია, რათა ორივე მხარეს ზუსტად და ცხადად ესმოდეს ერთმანეთის.	
ინდიკატორები		• ნაგულისხმევის/ნაფიქრის და ნათქვამის დიფერენცირება • რთული ენა, გრძელი თანწყობილი/ჩახლართული წინადადებები • ქოუჩის ნათქვამზე დაყრდნობით ინტერპრეტაციისკენ მიდრეკილება	
საშუალო დრო		დაახლოებით 5-10 წუთი	
პროცესი		როცა კლიენტი ისეთ რამეს ჰყვება, რაც განსაკუთრებით გრძელი ამბებია, დიდი წინადადებებით ან გაურკვევლოვის შეგრძნებით-თუ რა იგულისხმა ან რა სურს სინამდვილეში გაუგებარია-უკუკავშირის საშუალებით უნდა დადგინდეს, თუ რა მივიდა ქოუჩამდე/როგორ გაიგო ნაამბობი ქოუჩმა. აქტიური მოსმენის კიბის პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოყენებისას *(იხილეთ სქემა9)* ყორადღება უნდა მივაქციოთ, რომ სიტყვა-სიტყვით გამეორება ნაკლებად ხერხდება, მეორე მხრივ ინტერპრეტირებული გამეორება - „სხვა მხრიდან შეხედვა“- საფრთხის შემცველია რადგან მნიშვნელობის არასწორი ინტერპრეტაცია შეიძლება მოხდეს. მთლიანობაში კლიენტის ნათქვამის განმორება, შესაბამისად და ხანგრძლივად თუ არ გამოვიყენებთ, შესანიშნავ შესაძლებლობას გვაძლევს საუბარში სიცხადის შესატანად. არასწორი ან ბუნდოვანი განმარტებების რიხვი მინიმუმამდე დავა.	
ავტორი		ლიმან კ. შტაილ	
დამატებითი ლიტერატურა		L. K. Steil/J. Summerfield/G. de Mare.: Aktives Zuhoren, Heidelberg 1986	



სქემა 9: აქტიური მოსმენის კიბე

<table>
<tr><td>6</td><td>თემა</td><td>აქტივირება - პროაქტიული/რეაქტიული</td><td>P</td></tr>
<tr><td colspan="2">წინაპირობები ქოუჩისთვის</td><td colspan="2">პოზიტიური აზროვნება
მოტივაციის, გააქტიურების, პასივობის, გაუფასურების, ადაპტაციის-შეგუების/ზედმეტი ადაპტაციის ფსიქოსოციალური ცოდნის საფუძვლები
სამუსაოს მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძვლები</td></tr>
<tr><td colspan="2">მიზნები</td><td colspan="2">მოქმედებების გადაჭრაზე ორიენტირებული ფრომირება
განსხვავება პრო და რეაქტიულ საქმიანობას შორის
კონსტრუქციული გააქტიურება საკითხთან მიმართებაში
აქტივობების „წინასწარი“ დაგეგმვა/შექმნა?</td></tr>
<tr><td colspan="2">საწყისი სიტუაცია</td><td colspan="2">ქოუჩინგის კლიენტი თავის მონაყოლში და გეგმაში ამჟღავნებს ან პასივობას ან მხოლოდ ადაპტირების სურვილს, არააქტიურ ქცევას. ნაწილობრივ შეიძლება ამას თან ახლდეს დაურწმუნებლობა, უიმედობა ან უმწეობის შეგრძნება.</td></tr>
<tr><td colspan="2">ინდიკატორები</td><td colspan="2">კლიენტის დაურწმუნებლობა
პასივობა და ლოდინი
კლიენტი რეაგირებს/ჯანყდება
კლიენტი აქტივობების ფორმულირებას კი არ ახდენს არამედ „არა..“
მოსალოდნელი შედეგების შელამაზება
კონსტრუქციულ ქმედებაზე უარის თქმა და უკან დახევა</td></tr>
<tr><td colspan="2">საშუალო დრო</td><td colspan="2">საშუალოდ 30-60 წუთი</td></tr>
<tr><td colspan="2">პროცესი</td><td colspan="2">ქოუჩი თავიდან თემის/პრობლემის საწყის სიტუაციას ღია კითხვებით ზუსტად დაამუსავებს და გამომწვევი მიზეზების ფოკუსირებას მოახდენს.
როცა კლიენტისთვის გამომწვევი მიზეზები, სიმპტომის სატავეში მყოფი ძირითადი საკითხები ნათელი გახდება, ერთად მოახდენენ სასურველი მდგომარეობის პოზიტიურ ფორმულირებას. აქ უნდა გაიმიჯნოს პროაქტიული, რეაქტიული და პასიური ქცევა და დაზუსტდეს „შინაგანი ძირგამომთხრელი-საბოტაჟის მომწყობი/ხელისშემწყობი.
მომავალი პროცესის ვარიანტები უნდა შეიქმნას და ასევე ჩართულობის ემოციური მხარეც დამუსავდეს.
როცა შინაგანი ძირგამომთხრელი-საბოტაჟის მომწყობი და ხელისშემწყობი გამოაშკარავდება, მათი განხორციელება ყოველდღიურობაში პატარ-პატარა ნაბიჯებით ემოციური და საქმიანი პუნქტია პროქტიული პროცესის წარმართვისთვის.
ამასტან ერთად, მნიშვნელოვანია რეალობაში ტრანსფერზე დაყრდნობით და რეფლექსიით კიდევ ერთხელ განვამტკიცოთ პროაქტიული ზემოქმედება და</td></tr>
</table>

	პოზიტიურად შევაჯამოთ. პასივობაში უკან დაბრუნება, რეაქტიული ატიტუდი-განწყობა ამ ხაფანგების კიდევ ერთხელ დაფიქსირების საფუძველი გახდება-პროცესი ხელახლა
მინიშნებები, ბეგრაუნდი	გაუფასურების და პასივობის მოდელები დამატებითი კონცეპტებია რეაქტიული პროცესების გაცხადებისა და გაგებისათვის.
ავტორი	ვერნერ ფოგელაუერი

7	თემა	„ალტერ ეგო“	H
წინაპირობები ქოუჩისათვის		• ფსიქოსოციალური ცოდნის საფუძვლები • ფსიქოდრამის მეთოდოლოგიური საფუძვლები • ემოციური მხარეების მართვა (როგორც საკუთარი, ისე კლიენტის.	
მიზნები		• კლიენტის ცალკეული გამონათქვამების არეკვლა • კლიენტის დახმარება რეფლექციის პროცესში	
საწყისი სიტუაცია		კლიენტს წინ მნიშვნელოვანი საუბარი ელის. მისი შინაგანი დიალოგი განსაზღვრულ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია. კლიენტს აქვს გარკვეული სირთულეები სიტუაციის რეფლექსიის პროცესში, ან თავად საუბრის.	
ინდიკატორები		• წინააღმდეგობრივი, დიფუზური, არამკაფიო გამონათქვამები • არასაკმარისი რეფლექსია გარკვეული გამონათქვამების ან ქცევის სახეებისა • მიზეზების დადგენა რთულია	
საშუალო დრო		დაახლოებით 20-40 წუთი	
პროცესი		სიტუაციის აღწერისას დასახელებულ გამონათქვამებზე დაყრდობით, ქოუჩი კლიენტს სთავაზობს, კომუნიკაციის სპეციფიური ფორმა გამოიყენოს. ეს ფორმა სკამის-სავარჯიშოდან გეშტალტური მიდგომიდან და ასევე მორენოს მიერ შემუშავებული ფსიქოდრამიდან მომდინარეობს. თუ კლიენტი დაგთანხმდებათ შეტავაზებაზე, მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს: *პირველი ნაბიჯი:* კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც როლურ დიალოგსა და სკამის-სავარჯიშოდ გარდაიქმნება, მე კლიენტის უკან ვდგები და ვეუბნები, რომ მის ცალკეულ სიტყვებს გავიმეორებ, რომელსაც ის სკამის-დიალოგისას გამოიყენებს. *მეორე ნაბიჯი:* წარმოსახვით პარტნიორტან დიალოგისას რომელიც სხვა სკამზე ზის, მე ვიმეორებ სიტყვებს, რომელიც კლიენტმა ახსენა. მე ვიცდი, სანამ ის დამეთანხმება, შემისწორებს, ან რამეს დაამატებს. *მესამე ნაბიჯი:* როცა კლიენტი სხვის როლს მოირგებს, მეც ვიცვლი როლს და ამ შემთხვევაშიც ვიმეორებ სიტყვებს, რომელთაც კლიენტი სხვის როლში ამბობს. ამ შემთხვევაშიც ველოდები დათანხმებას ან კორექტურას. მხოლოდ ამის შემდეგ კვლავ ვიცვლით სკამებს. *შემდგომი ნაბიჯი:* საუბარი შეიძლება გაგრძელდეს ამავე ფორმით და სხვა სიტუაციებიც მოიცვას. *დასასრული:* მე ვკითხვა კლიენტს, თუ როგორ ჩაიარა მისთვის ამ საუბრის პასაჟმა, თუ რა მნიშვნელოვანი ცოდნა, აღმოჩენა, გამოცდილება მიიღო მან და „წარმოსახვით პარტნიორთან“ მოახლოებულ საუბრისთვის	

	რას წაიღებს აქედან, ან როგორ იგრძნო თავი საკუთარი გამოთქმებში. პასუხის და შედეგების მიხედვით ან გავაგრძელებთ მუშაობას ან არადა დასახულ გეგმას ემოციურად და ვერბალურად გავამყარებთ (იხილეთ ასევე (გეგმის მსაჯული??)
მინიშნება/მითითება	განსაკუთრებით საინტერესოა, როცა კლიენტი ბევრჯერ გისწორებთ გამეორებულს. ეს შეიძლება ერთიმხრივ მინიშნება იყოს ჩემთვის, როგორც ქოუჩისთვის (არასწორად ვუსმენ) ან თავად კლიენტისთვის (ფარული მნიშვნელობები). შემდეგი პუნქტია პოზიტიური ცვლილება აღმოჩენითა და გამოცდილებით ალტერ-ეგოს მეთოდიდან. სკამის-სავარჯიშო როგორც გეშტალტთეორიული მიდგომა აქ როგორც მნიშვნელოვანი ელემენტი ისე გამოიყენება.
ავტორი	ჯაკობ ლევი მორენო

8	თემა	ამბივალენტურობისა და წინააღმდეგობების დამუშავება	M
ქოუჩის წინაპირობა		• ფსიქოსოციალური საბაზისო ცოდნა (Grundkentnisse) • კომუნიკაციისა და ინტერაქციის უნარები და მზაობა • ემპათიის უნარი • ანალიტიკურ-დიაგნოსტიკური მიდგომით საუბრის შინაარსიის შეგრძნება/გაგება	
მიზანი		• კლიენტმა ქცევითი უნარების განვითარება შეძლოს • წინააღმდეგობებს შორის ბალანსის პოვნა • აქტივობების პოვნა მომდევნო მიდგომებისთვის (და არა ამბივალენტურობაზე გაყინვა)	
საწყისი სიტუაცია		კლიენტი საუბრობს სიტუაციებზე, შინაარსზე, გადაწყვეტილებებზე, ქცევებზე ყველაფერთან ერთად ის შინაგანად გახლეჩილად გრძნობს თავს, გაორებულია და გაგრძელება არ შეუძლია, ამიტომ არააქტიური/პასიური რჩება.	
ინდიკატორები		• კლიენტი ასახელებს ორ ასპექტს და არსებულ წინააღმდეგობას ვერ ამჩნევს. • სიტუაციის/აქტივობების ალტერნატივა კლიენტისთვის არაცნობიერია. • კლიენტს არ შეუძლია ორ ალტერნატივას სორის გადაწყვეტილება მიიღოს, ორივე ვარიანტი მისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია.	
სავარაუდო ხანგრძლივობა		დაახლ. 10 წთ.	
მიდგომა		მაგალითად ქოუჩინგის პროცესში კლიენტი ხშირად ხვდება სიტუაციაში სადაც - წინააღმდეგობებს ვერ ამჩნევს - “თანაბრად მნიშვნელოვანი/თანაბრად ცუდი” მას ქცევაში ხელს უშლის, - დამოუკიდებლად ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთება არ შეუძლია. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი, რომელიც ქოუჩს დაეხმარება მოცემული პასიურობა შეცვალოს: მაგალითი A: კლიენტი ერთი სურვილით მიდის ქოუჩთან, რომ მას სურს თავის თანამშრომელს შეცდომის შესახებ ზედმიწევნით ნათლად მიუთითოს. ცოტა მოგვიანებით კი საუბრობს იმის შესახებ, რომ საკუთარ თანამსრომელს ბევრ ნდობას უცხადებს და თავისუფლად მუშობის ნებას აძლევს. **ქოუჩის შესაძლებლობები**: - უკუკავშირის მიცემა, რა მოისმინა მან - ხაზგასმით “შეცდომა” და “ნდობა” - ორ ასპექტზე მსჯელობა “თანამშრომლის შეცდომა” და	

	“ნდობის გამოცხადება თანამშრომლისთვის” და მან ახსნას, ამ ორ ასპექტს ერთმანეთთან როგორ აკავშირებს და აერთიანებს. - პირდაპირი მინიშნება ცხად წინააღმდეგობაზე თანამშრომლის შეცდომები და ნდობა, რომელსაც მას უცხადებ. მაგალითი B: კლიენტს აწუხებს საწარმოში არსებული ყოველდღიურობა. მას თანამშრომელმა აცნობა დასრულების (abwicklung) ხარვეზის შესახებ, რომ ეს კიდევ რაღაც დრო გაგრძელდება. კლიენტმა იცის, რომ რაღაცის გაკეთება შეიძლება. მაგრამ რაიმე ღონისძიების წამოწყება, რომელიც მიზნამდე მიიყვანს და რამე სხვა შესაძლებლობის მოფიქრება არ შეუძლია. **ქოუჩის შესაძლებლობები**: -შეკითხვა, იდეებს ანდა ღონისძიებებს როგორ უმკლავდება (და დაკვირვება იმის არიან თუ არა თანამშრომლები ამ იდეასთან დაკავშირებულები იყვნენ თუ არა) - დაინტერესება იმით, რამ მიიყვანა ეს იდეები აქამდე (და არა სხვა იდეები) -კითხვის დასმა: “დავუშვათ შემთხვევა, რომ სიტუაცია გადაჭრილია, რა იქნებოდა სხვანაირად?” მაგალითი C: კლიენტს აქვს მის ახალ გაყიდვების სტრატეგიასთან (მიმართულება X და Y) - ფასის დაკლების სტრატეგიის პრომოუშენის bzw. ფასდაკლების სტრატეგიები (ყველა მიმართულებაში) დაამუშავებული. ის არჩევანის წინაშე დგას და წონის სიტუაციას, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება არ სეუძლია. **ქოუჩის შესაძლებლობები**: - მიზნების კიდევ ერთხელ ცხადად გაჟღერება, რომელიც კლიენტს საწყის ეტაპზე ჰქონდა. - გადაწყვეტილების სირთულეების შესახებ კითხვა, რა უშლის მას ხელს. - ორივე სტრატეგიას სორის კრეატიული კომპონენტების დაკავშირება და აზრის, bzw. წინააღმდეგობების დამუშავება. - მნიშვნელოვნებისა bzw. გადაწყვეტილების დროსთან მიმართებაში (კიდევ ერტხელ) დაზუსტება bzw. დაკონკრეტება.
ავტორი	ვერნერ ფოგელაუერი

darstellung 6: ცნებების ახსნა

დილემა: გადაწყვეტილების აუცილებლობა ორ თანაბრად ცუდ ვარიანტებს შორის, რომლებიც მიზნამდე მიღწევაში არ ეხმარება. პიროვნებამ, რომლემაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, დგას "ნეგატიური" არჩევანის წინაჭე დგას - ერთი ან მეორე ვარიანტი უნდა აირჩიოს. შინაგანი სურვილის პარალელურად უარყოფითი შედეგების შიშის გამო გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ, ამის გამო წარმოიქმნება პასიური ქცევის მდგომარეობა - არაფერი გააკეთოს.

პასიურობა (იხ. თავი პასიურობა):

ადამიანები აჩვენებენ ქცევას - "არაფერი გააკეთონ", როცა შინაგანი თავდაცვისმექანიზმი (abwehrtung) არსებობს (მაგ.: "ამისი გადაწყვეტის შანსი არ არსებობს", "მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია" ან "საერთოდაც ეს არაა მნიშვნელოვანი"). მნიშვნელობის გაუფასურებას ადამიანები პასიურ მდგომარეობამდე მიჰყავს. თუ გადაწყვეტილების გზა ავტომატურად არ წარმოიქმნება და შესაბამისად არც არაფერი კეთდება, რაც ხშირ შემთხვევაში ასეა, შემდგომ სხვა ადამიანებისგან/ ახლობლებისგან, ნათეავებისგან, მეგობრებისგან, მრჩევლებისგან იწყება სხვადასხვა გზებისა და გამოსავლის შეთავაზება. თუ ამ მიდგომით, გადაწყვეტის გზა ვერ იქნება ნაპოვნი, რომელსაც პიროვნება რეალურად გამოიყენებს და პობლემა გადაიჭრება, წარმოიქმნება ემოციური "ძლიერი ზეწოლა". ეს ძლიერი ზეწოლა წარმოქმნილია აგიტაციით (ყვირილით, გინებით, ბრალდებებით, ჰექტიკური არამიზნობრივი ქცევებით და ა.შ.) შესამჩნევი. ყველაზე ძლიერი საფეხური არაფრის კეთების არის საკუთარი თავისა და სხვების უძლურებად მიჩნევის. ძალიან გაწელილი სამუშაო, გადაღლილად ყოფნა, გადაჭრბებულად ნიკოტინის მოხმარება ან/და ალკოჰოლის მოხმარება იწვევს (დროუებით) გათიშვას, ამ მდგომარეობით კი პრობლემის გადაჭრის პროცესის "შეჩერება".

წარუმატებლობის შიში/ წარმატებაზე დარდი

გარკვეულ სიტუაციებში ადამიანები ამჟღავნებენ მიდრეკილებას, რომ არ მიირონ გადაწყვეტილება ან ქმედება განახორციელონ, ვინაიდან შინაგანი (leidensdruck) ზეწოლა არასაკმარისია. ეს ხანდახან კავშირშია შინაგანი თავდაცვის მექანიზმთან (abwehrtung) (verharmlosung, მნიშვნელობის უარყოფა), აგრეთვე პრობლემურსიტუაციასთან, რომელიც არარეგულრულად წარმოიქმნება. გარკვეულ კლიენტებთან მიზნის პოვნა ან წარმატებული

9	თემა	მისწრაფულობის ქცევა (antreiberverhslten) და მისი კონსტრუქციის საფუძველი	H-R
ქოუჩის წინაპირობა		• ტრანზაქციული ანალიზის საბაზისო ცოდნა (grundkenntnisse) ცოდნა და განსაკუთრებით ტ. კალერის სამუშაო მოდელის • ფსიქოლოგიის ცოდნა და პიროვნული ნორმებისა და ჩარჩოებზე მუშაობის გამოცდილება • შინაგანი ჩარჩოების მიდგომების ცოდნა bzw. კლიენტის ზეწოლის სიტუაციების გაგება	
მიზანი		• წარსული სამუშაო სიტუაციებიდან დესტრუქციული ჩარჩოს ამოცნობა • ცვლილებების შესაძლებლობების დამუშავება • შესაბამისი კონსტრუქციული მხარეების მოძიება	
საწყისი სიტუაცია		კლიენტი აღწერს სტრესულ სიტაუციას და როგორ უმკლავდება მას - ქცევებს, რომლებსაც ის გადაწყვეტილების გზამდე მიჰყავს. ქოუჩიი აღწეს შინაგან ზეწოლებს და სწრაფ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სინამდვილეში არ ფუნქციონირებს.	
ინდიკატორები		• თვითგაძლიერებადი სტრესის სიმპტომები • შინაგანი ზეწოლა • განმეორებადი ქცევები, რომელსაც უბრალოდ აკეთებს (მაგ.: მუდამ ზედმიწევნით ზუსტია ან არავითარი სიმშვიდის მიღება არ შეუძლია, მუდმივად ძალიან აქტიური უნდა იყოს ან პირველ რიგში სხვებზე უნდა იზრუნოს, რა სჭირდებათ სხვებს და აკეთებენ იმას, რაც მათ არ უნდა აკეთენ, ჰექტიკურად იქცევიან ან ემოციების გარეშე არიან, ყველაფერს საკუთარ თავს უკავსირებენ და ა.შ.)	
სავარაუდო ხანგრძლივობა		დაახლ. 30-50 წთ.	
მიდგომა		1. კლიენტი აღწერს სიტუაციას 2. შეკითხვები უფრო მეტი სიცხადისთვის (იხ. მაგალითი 5) 3. შედარება სხვა სიტუაციებთან, რომელიც ახლო მომავალში მოხდა 4. ჰიპოთეზა, ჩარჩო (Muster) ან მისწრაფებულობის მოდელის გაცნობა, წარდგენა a) მისწრაფებულობის მოდელის (ნახ. 10) წარდგენა, პირველ რიგში დესტრუქციული ნაწილის, შემდგომ სურათებად ქცევითი ჩარჩოსთან შედარება. რას ხედავს/ამბობს კლიენტი? რას ირჩევს და აღიქვამს ის როგორც მთავარ (შინაგან ზეწოლის) მისწრაფებად? b) ქოუჩის ჰიპოთეზა: "თქვენი აღწერის მიხედვით (იხ. მაგალითი 5) ვვარაუდობ მე, რომ თქვენ პერფექციონიზმით საკუტრ თავზე ზეწონალს ახდენთ." "რას იტყოდით თქვენ ამის შესახებ?" "როგორ ხედავთ თქვენ ჩამს ჰიპოთეზას?"	

	ტიპიური ჩარჩოს ამოხსნა, რომელსაც კლიენტი აჩვენებს ან უფრო კონკრეტულად საკუთარ დაურათებაში (მრავალგზის) აღწერს. მაგ.: " მე უკვე x-ჯერ მესმის, რომ თქვენ ძალიან ჩქარობთ. ეს თქვენთვის ტიპურია? როდის ხდება ეს განსაკუთრებით ძლიერი?" 5. გადაამოწმეთ, ჰიპოთეზა ეთანხმება თუ არა, ან თუ არა, რატომ? 6. როდესაც კლიენტი ჰიპოთეზას ან ჩარცოს ადატურებს ან კლიენტი მიდრეკილებებს მოდელის მიხედვით ამოიცნობს, ქცევას, რომელსაც მუდმივად ახორციელებს, მასზე მთავრი სამუშაო ფოკუსი მოხდება (არა ყველა მიდრეკილებაზე) და კონსტრუქციული მხრიდან დანახვება (იხ. მაგ. 5) დამუშვება "შინაგანი ნებარების" ("მე უფლება მაქვს....) და როგორ ეთანხმება ისინი ერთმანეთს და შეგრძნებებთანაც თანხვედრაშია.
ავტორი	ტაბი კალერი (მიდრეკილებები) და ვერნერ ფოგელაუერი (კონსტრუქციული საფუძველი)
დამატებითი ლიტერატურა	I. Stewart/V.Jones: Die transaktionsanalyse, Freiburg i. Br. 1990 Leonhard Schlegel: Handwörterbuch der Transaktionsanalyse, Freiburg i. Br. 1993 U. & H. Hagehülsmann: Der Mensch im Spannungsfeld seiner Organisation, Paderborn 1998

darstellung 7: მიდრეკილება- ნებართვის მიმცემი - გამოყენების შესაძლებლობა

მიდრეკილება *)	კონსტრუქციული საფუძველი	ნებართვიები **) "მე უფლება მაქვს..."	ყოველდღიურად არავითარი აქტივობა დანერგვისთვის
იყავი შესანიშნავი (პერფექტიული)	მიზანი ზუსტი, ზედმიწევნით ზუსტი	"დასრულება, ბოლომდე მიყვანა, წერტილის დასმა"	განსაზღვრული მუშაობა და დასასრული მოცემულ დროში დამთავრება, შინაარსობრივად დაკონკრეტება, ყოველდღიური რამეებისთვის კონკრეტული მიზნების ფორმულირება და ა.შ.
თავს ძალა დაატანე	აქტიურად ყოფნა, კეთება	საკმარისიას თქმა... სიმშვიდე/პაუზის აღება	სარეზერვო დორის აღება თავიდან ნავარაუდევი დროის მიხედვით, მშვიდი პერიოდები, როდესაც მას სიმშვიდე შეუძლია ან ძალა აქვს. და ა.შ.
იყავი ჩქარი	დროის გაცნობიერება, დროისადმი მგრძნობელობა	თავისთვის დროის აღება	კეთების დროს ამოსუნთქვა, თანმიმდევრობით საქმის გადაჭრა, წინასწარ გადაწყვეტილების მიღება რა უნდა გააკეთოს პირველ რიგში, პრიორიტეტები დასახოს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება (მაქს. 1-3 აქტივობა) და ა.შ.
სხვები გაამრთლე	ემპათიურობა, ურთიერთობაზე ორიენტირებულობა	საკუთარ მოთხოვნილებებზე დაკვირვება, ურტიერთობის ბალანსის გადამოწმება	მოსმენა და ფიქრისმიერ პაუზის დრო რეაგირება, საკუთარი თავის მოსმენა, რა მჭირდება მე, ორმხრივი წარმატება არის... და ა.შ.
იყავი ძლიერი	სიტუაციისადმი მგრძნობიარე, სიტუაციის შესაბამისად სიფრთხილის	ჩემი შეგრძნებების აღქმა, ჩემი გრძნობების გამოთქმა	საკუთარი თავის მოსმენა, შინაგანი გრძნობების, განცდები აღქმა, განცდების აღწერა, მაგ.: "მე ყელში ბურთს

	გამოჩენა		ვგრძნობ “ ან “ მე ბრაზის მომატებას ვგრძნობ... და ა.შ.

*) ეს კონცეპტი მოდის ტანზაქციული ანალიზიდან. ტაბი კალერმა აღმოაჩინა ეს ხუთი “ შესაძლო უწყინარი წვიმისგან წარმოქმნილი წყალდიდობაა” როგორც გადარჩენისთვის საჭირო მოცემულობა, რომელიც ბავშვობაში გვეძლევა, რათა დესტრუქციული გამწვავებები, როგორიცაა მაგალითად “ იყავი არასაჭირო” ან “არ იფიქრო”, შეგხვდეს და ფიზიკურად გადარჩე. დესტრუქციული ფორმულა ასე ჟღერს: “ მე მხოლოდ იმის შემდეგ ვიქნები o.k, როცა მე ყოველთვის (შესანიშნავი/ პერფექტული ვიქნები)” და ა.შ. ეს ჩარჩო წარმოგვიდგება, როგორც სტრესისგან გათავისუფლების საშუალებები, ანუ სტრესულ სიტუაციაში ხშირად ავტომატურად გამოიყენება, რათა სიტუაციას გაუმკავდე. ხშირად კი ისე, ხდება რომ ეს გათვლა არ კმარა. მაგ.: “ იმისმიუხედავად, რომ მე ზედმიწევნით ყურადღებით ვიყავი, შეცდომები მაინც მოხდა” და ა.შ..

**) უფლებები არის შინაგან უფლებები, რომლებიც ერთი მხრივ “მე უფლება მაქვს..” იწყება და მეორე მხრივ პოზიტიური ფორმულირებები მიიღება. ეს განცხადებები შინაარსებს აჯამებენ, რომლებიც შესრულებადია ან ვერ სესრულებადი. მაგ.: პერფექციონისტისთვის “ მე მაქვს უფლება შეცდომები დავუშვა”. ეს შეიძლება იყოს სუფთა თეორიული ფორმულა, რომელიც ემოციურად მიუღებელია. უკეთეშია: “ მე მაქვს უფლება საკმარისად მისარები გავხადო” ან “ მე გამორთვის უფლება მაქვს” და ა.შ.

ნახ. 10: დესტრუქციული მიდრეკილებები და კონსტრუქციული საფუძვლები



10	თემა	სამუშაოს სტილი - ამოცნობა და გაუმჯობესება	M-R
ქოუჩის წინაპირობა		• სამუშაო მეთოდების საბაზისო ცოდნა (grundgentnisse) • კარგი ანალიტიკური უნარი	
მიზანი		• სამუშაო სტილის ყოველდღიურობაში გაუმჯობესება • ძლიერი და სუსტი მხარეების სამუშაო სტილში გაგება • გაუმჯობესების შესაძლებლობების აღმოჩენა	
საწყისი სიტუაცია		კლიენტი ყვება სამუშაო სიტუაციისდან მაგალიტებს სადაც მას ზედმეტად ცოტა დრო რჩება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისთვის	
ინდიკატორები		• აზრიდან აზრზე გადახტომა, სპონტანური მოსაზრებები • სამუშო ყოველდღიურობაში აქვს სირთულეების გამკლავების პრობლემა • სამუშაო ყოველდღიურობის დავალებებისადმი მყარად შემუშავებული ერთი მიდგომა	
სავარაუდო ხანგრძლივობა		დაახლ. 30-50 წთ.	
მიდგომა		1. კლიენტის მიერ აღწერილი სამუშო სიტუაციის შემდგომ სამუშაო სტილის ანალიზის შემუშავება 2. ერთი ტიპური სამუშაო დღის არცევა და როგორც შიანაგანი ფილმი ისე გაშვება (როგორ ვუმლავდები მე დავალებებს სამუშაო მაგიდასთან, ინფორმაციის გადამუშავება, ფოსტა, გადაწყვეტილებების მიღება, ვიზიტები, საუბრები, მოლაპარაკებები და ა.შ.? პრობლემების დამუშავება და სირთულეები, მოცემული სამუშაოს შესრულება, განუსაზღვრელი პრობლემების გამკლავება). 3. სამუშო სტილების ინსტრუმენტით სპონტანურად თვითშეფასება - თვითხატი (იხ. ნახ. 11) - შინაგანი წერტილის დეფინიცია 0, გარეგანი პუნქტი 50. პოლარობის სრული დიმენსია 100 % სეადგენს. თითოეული დიმენსია 50 % შეადგენს და ორივე როლისტვისაა განსაზღვრული, დამოკიდებულია განცდილი პუნქტების სიმძიმის მიხედვით. - თვითშეფასებისტვის მოცემულია მაგალითი, რათა უფრო გასაგები გახდეს როლების გნმარტებები (იხ. მაგალითი 5). საბოლოოდ მნიშვნელოვანია შეძლებისდაგვარად ღერძებზე სპონტანური შეფასებების გადანაწილება. კლიენტმა პოლუსების ურთიერთქმედებას უნდა მიაქციოს ყურადღება. ვინაიდან როლები ერტმანეთს გამორიცხავს, შესაძლებელია 50 % ზღვარის სემჩნევა. ეს ურთიერთმიმართება ყველა ღერძისთვის ასეა. ცნებების აღწერა არია გადაჭარბებული, დესტრუქტიულ ბრჭყალებში მოქცეული და საკუთარი სიტყვებით და მინიშნებებით წარმოდგენილი. ყველაზე შიგნით მყოფი წრის ზონა არის როლის გადაჭარბებული გვერდი.	

	4. გრაფიკის შედეგების შეფასება და საუბარი: რომელი დიმენსიები ყველაზე ძლიერი ან სუსტი? რამდენად გაწონასწორებული ან პირიქით განსხვავებულია დიმენსიები? დეტალებსი: რა არის განსაკუთრებით გადაჭარბებული? ან პირიქით ზედმეტად ცოთა თქვენი შეხედულების მიხედვით? 5. გაუმჯობესების შესაძლებლობების დამუშავება
ალტერნატივა	ქოუჩის თანამშრომლების ჩარტვა, ვისაც პიროვნება თავად მოიწვევს, რათა მან საკუთაი სამუშაო სტილი შეაფასოს. საბოლოოდ შედარება (შეძლებისდაგვარად ქოუჩთან ერთად) უცხოს ხატსა და თვითხატს შორის შეძლებისდაგვარად ზემოთ დასახელებული პუნქტების მიხედვით. ქოუჩის მხრიდან შეფასებას მიზნამდე მივყავართ; აგალითის მიხედვით უკუკავშირი საუბრის დორს დასახელებული პუნქტების მიხედვით არის უპირატესობის მიმნიჭებელი.
ავტორი	ვერნერ ფოგელაუერი

darstellung: 8 სამუშაო სტილების ცნებების განმარტება

ინიციატორი

საქმეს აქტიურად უდგება, თავად წყვეტს, როგორ მოაგვაროს საქმე, დამოუკიდებლად მიაჩნია თავი, ადგენს გზებსა და მასშტაბებს, ჭვრეტს შესაძლებლობებს

(დიქტატორი): მოქმედებს ეგოისტურად, იგნორირებას უკეთებს სხვებს, მბრძანებლობს

ფანტაზიორი ხედვითი

ხედავს იმას, რაც შესაძლოა მოხდეს. ორიენტირებულია მიზნებსა და სამომავლო შესაძლებლობებზე, მიმართულია მომავალზე, იჩენს მზაობას სიახლის მიმართ

(უტოპისტი): ჩაფლულია მხოლოდ სამომავლო იდეებში, აინტერესებს მხოლოდ სიახლეები

სპონტანური

მიჰყვება სიტუაციას, არის კრეატიული და მქონილი. სურს თავისუფალი სამოქმედო სივრცე, მოქმედებს სპონტანურად, ემოციურად
(ქაოსური): ყველაფერს ერთმანეთში ურევს, კალაპოტში ვერ ეტევა, მერყევია/გაუწონასწორებელია

სპეციალისტი

შემგუებელი

იცდის, ერთვება არსებულ სტრუქტურებში/წესებში, რეაქტიულია, შემგუებელია, გადაწყვეტილებების მიღებას სხვებს გადასცემს

(პასიური): შეუძლია ზედმეტად შეეგუოს, დამოკიდებული იყოს, თავად არ მოქმედებს, სხვის განკარგულებებს ელის

მცველი

ეყრდნობა უკვე მიღწეულ შედეგებს, ორიენტირებულია უკვე შემდგარზე და მომხდარზე, იყურება წარსულში, არსებული მისი საზომია, სურს მოპოვებულის დაცვა და შენარჩუნება

(ტრადიციონალისტი): ხედავს მხოლოდ წარსულს, სურს შენარჩუნება და არა შეცვლა. ნორმები, დადგენილებები მისთვის საზომია

სისტემური

ორიენტირებულია წესრიგზე, ქმნის ტაბულებს, სქემებს, ჩამონათვალს უკეთესი მუშაობის მიზნით. ორიენტირებულია სტრუქტურებზე, ემყარება ლოგიკას. ზუსტია

(პერფექციონისტი): ამჟღავნებს სიზუსტეს, ემყარება მხოლოდ ლოგიკას, უზუსტესი გეგმები.

ორიენტირებულია დეტალებზე, ბევრ დროსა და ენერგიას ახმარს რაიმე საქმის დაწყებას ან დამთავრებას. უკირკიტებს დეტალებს

(Detaillist): უღრმავდება დეტალებს, დიდ დროს უთმობს დეტალების დახვეწას, არ ხდება საკუთარი ანგაჟირებისა დაზოგადი აუცილებლობის თანხვედრა, არსს არ ეხება

უნივერსალური/ზოგადი

განიხილავს მთლიანობას (დავალება, დროითი სივრცე, სიტუაცია...), ორიენტირებულია პერსპექტივებზე, კავშირებზე, ყველაფერს ხედავს ფართო ხაზით, შეუძლია წარმოდგენაში კავშირები ჩამოაყალიბოს

(აბსტრაქტული): მეტისმეტად რთულად აზროვნებს, მოქმედებს (მეტისმეტად) აბსტრაქტულად, გეგმებშია ჩაფლული

Arbeitsstil



ნახ. 11: სამუშაო სტილი/თვით ხატი

11	თემა	სამუშაოსა და საქმიანობის ანალიზი	A-M
ქოუჩის წინაპირობა		• სამუშაო მეთოდების გაგება • თვითმენეჯმენტი და გამოცდილება უკანა ფონად	
მიზანი		• ხელისშემშლელი ფაქტორების ოპტიმალურ სამუშო ორგანიზაციაში განმარტება • რესურსების სიმცირის ფაქტორების ფონზე ოპტიმალური ორგანიზაციის შექმნა • სამუშაო სიტუაციის ყოველდღიურობის ანალიზი • სამუშაო სიტუაციის გაუმჯობესებისთვის ეფექტური ნაბიჯების გადადგმა • დროითი სირთულეების შეჯამება • სამუშაოს ეფექტურობის და ხელის სემშლელი ელემენტების დაკონკრეტება • სამუშაო გარემოს ანალიზი და საფეხურეობრივად გაუმჯობესება	
საწყისი სიტუაცია		კლიენტი ქოუჩინგის პროცესისას ყვება სირთულეების შესახებ სამუშაო ორგანიზაციასა და სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას. ის საუბრობს გადაჭარბებულად ბევრ სამუშაოზე და პრობლემების გადაჭრის სირთულეებსა და პატარა საქმიანობებშიც კი. მისთვის ძალიან ბუნდოვანია, როგორ შეუძლია საკუთარი სამუშაოსა და სამუშაო ორგანიზაციის გაუმჯობესება.	
ინდიკატორები		• დროის კარგვა სამუშაო პერიოდში • ქაოტური სამუშაო ორგანიზაცია • მუდმივად ხელის შემშლელი ფაქტორები პროცესში • სამუშაოს შესრულებით სტრესული ემლემენტები • სპონტანური აქტივობები, აგრეთვე ერთმანეთში არევდარევა • დელეგირებისპრობლემა • დროითიბიუჯეტი მოუწესრიგებელია • უამრავი განსხვავებული, თთქმის გაუმჭვირვალე საქმიანობები • ჰექტიკური, მოუსვენარი კლიენტების ქცევა • არავითარი იდეა, რომელი კადრის დამატება იქნებდოდა საჭირო	
სავარაუდო ხანგრძლივობა		თემიდან გამომდინარე დაახლ. 15-20 წთ	
მიდგომა		ერთ-ერტი პირველი საფეხური სესაძლებელია დროისა და დავალებების ნამცხვრის მეთოდი ყოფილიყო. ქმედებების ეს გრაფიკი (იხ. დროის გეშტალტი ყოველდღიურობაში N 130) ვარიანტი A: მოცემული ანალიზიდან სესაძლებელია ის პუნქტები დამუშაოვდეს, რომელსაც კლიენტი კრიტიკულად ძალიან რთულად, ამოუწურავად ხედავს ან სადაც ის ბევრ დროს	

	საკუთარი აზრით, ხარჯავს. ფოკუსს თავად კლიენტი ირჩევს დროისა და დავალებების ნამცხვრიდან. ფოკუსი არის დროის დანახარჯსა და მნიშვნელობას სორის შეუსაბამობაზე ან მნისვნელობასა და სამუშაოს შესრულებისას სიამოვნების მიღებას შორის. ვარიანტი B: კლიენტი ასახელებს კონკრეტულ დავალებებეს და ქცევებს დროისა და დავალებების ნამცხვრის მეთოდის გარეშე, რომლებიც მას სურს, რომ გადახედოს და გააუმჯობესოს. შესაძლებელია წინასწარ ქვემოთ მოცემულ პუნქტებს გადახედოს და მათთან კავშირით ეფექტურობის საფეხურებით დაიწყოს პროცესი. - პირველი კითხვები ტრიალებს მოცეული ქმედების შედეგებსა და საჭიროებების გარშემო. - მეორე კითხვა ეხება საკუთარ აქტივობებს. - მესამე მიმდინარეობასა და საქმიანობის გეშტალტის შესახებ - მეოთხე ეხება დროის ეფექტურობას.
მინიშნება	სამუშაოს ანალიზის სიზუსტისთვის წინაპირობაა, რომ მოხდეს “დროის გეშტალტი ყოველდღიურობაში” განხილულ იქნას. (N 130). შედეგები აქედან გამომდინარე მიგვანიშნებენ სამუშაო ფუკუსი საით უნდა წარიმარტოს სამუშო ანალიზის პროცესში. ამ პროცესის მუშაობის შედეგად წარმოიქმნება სამუშაოს გაუმჯობესებისთვის საჭირო ძირეული მარვლები. კლიენტებთან ერთად განხილვა ხდება შესაბამისი ყოვედღიური სამუშაო სიტუაციების, საქმიანობების ფორმულირება მოხდება და დაკონკრეტდება. ამ დროს ყურადრება უნდა მივაქციოტ კლიენტის ცვლილებების ენერგიას (სკალირება ან და ვერბალურად გამოხატვა), როგორც კონკრეტული მომადება ქცევის.
ავტორი	ვერნერ ფოგელაუერი (უცნობი ავტორის მიხედვით)

სამუშაო გვერდი 1: ოპტიმალური სამუშო გეშტალტის ოთხი ნაბიჯი

1. არის საქმიანობა/ქცევა საჭირო?

(მოხდება რამე, თუ მე მას თავს დავანებებ?)

(კი)   (არა)

2. მე ის მხოლოდ მე უნდა შევასრულო?

(მხოლოდ მე მაქვს უნარები და ცოდნა მისი გადაჭრისთვის?)

(კი)   (არა)

3. ჩემი საქმიანობა არის საკმარისად ეფექტური?

(შემიძლია ოპრიმალურ დროში შევასრულო?)

(კი)   (არა)

4. შემიძლია ეს საქმიანობა ახლა განვახორციელო?

(კი)   (არა)

გაქვთ თქვენ ოთხჯერ “კი”, ამ შემთხვევაშ თქვენი საქმიანობა თქვენს სამუშო ადგილას ოპტიმალურია.

12	თემა	ყურადღების ველი (“presencing”)	R
ქოუჩის წინაპირობა		• კ.ო. შარმერის “პრეზენსინგის მოდელის” ცოდნა • კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საფუძვლები და ამ მიმართულების ცოდნა • ფილოსოფიური მიდგომა და მეტა პერსპექტიული გაგების უნარი	
მიზანი		• მაღალი დონის ყურადღების გამოყენება • სიტუაციაზე შეკითხვები და ფასადების უკან სიღრმეების დანახვის უნარი • ყურადღების სიმაღლეების შეძენა	
საწყისი სიტუაცია		კლიენტი აღწერს სიტუაციას, რომელიც უნდა დამუშავდეს.	
ინდიკატორები		• მყისიერი ჩაჭრები საუბარში და ნაწილობრივად შინაარსების გამორჩენა, ზედაპირული აღქმის ტენდენციებია შესამჩნევი სიტუაციაზე უხეში გამეორებებით, ფორმულირებებითა და პასუხებიდან გამომდინარე. • მუდმივად პრობლემური სიტუაციის გარშემო ტრიალი, თავადაც პრობლემაში თავის ჩარგვა იმით რომ ფიქსაციას ახდენს მხოლოდ კონკრეტულ გადაჭრის გზებსა და გამოსავალზე • პრობლემური სიტუაციის მხოლოდ ხილულ მხარეზე უხეში თანამონაწილეობა.	
სავარაუდო ხანგრძლივობა		დაახლ 10 დან 30 წთ.-მდე დამოკიდებულია ყურადღებისა და აღქმებზე.	
მიდგომა		1. კლიენტი საწყის სიტუაციას აღწერს მოკლედ. ის ასახელებს მისი ინტერესის მიზეზებს, მის პრობლემას ან აგრეთვე იმასაც მისი დაკვირვებით რისი მიღწევა სურს. 2. აღწერილი (ბარათზე დაწერილიდაკვირვებები) (*ყურადღება* 1 გრადუსი) ეხმარებათ წარსული სიტუაციების გახსენებაში. კითხვებს დასმა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა ის, რა მოხდა, რა იყო იქ ტიპური და ა.შ. დაკონკრეტება “წარსული შეხედულებების”. 3. კითხვა: “ როდესაც თქვენ გონებრივად დღევანდელ პრობლემურ სიტუაციიდან რამდენიმე ნაბიჯით დაშორდებით და ასე რომ ვთქვათ დღევანდელი მდომარეობის ზღვარის მიღმა პოზიციიდან შევხედავთ: ცვლილებების რომელი ასპექტებს ხედავთ? რას აღიქვამთ თქვენს საწარმოში, ბაზარზე, კონკურენრებთან და ა.შ.?” შეხედვის კუტხე დღევანდელი დღისგან უფრო და უფრო დისტანცირებული, სეგმენტირებული, ნაწილობრივ ასპექტები (შეძლებისდაგვარად) ამოცნობადი გახდება და ფაქტების ფორმულირება მოხდება. *ყურადღება* 2. გრადუსის ამ გზით	

	მიღწყევადი გახდება. 4. ყურადღების 3 გრადური მომდევნო კითხვებით მიიღწევა: როდესაც თქვენ მესამე პირის, არამონაწილის როლს მოირგებთ, რას დაინახავთ თქვენ როგორც მთავარ კითხვად ან მთავარ პრობლემად? ან აგრეთვე: რომელი კითხვები გებადებატ ტქვენ , რომლებიც პრობლემას მომავლის პერსპექტივიდან დანახვებას შესაძლებელს გახდიდა? ეს მიდგომა შესაძლებელს ხდის “ პრობლემისგან დისტანცია” მოიპოვოს, იპოვოს მომდევნო გვერდებიც, ასპექტები, კავშირები. სხვა “sensing” (pre-sensing” 3 გრადუსი). 5. რომელ ველებს ხედავთ თქვენი ძირითადი თემის გარშემო? როდესაც ჩვენ პრობლემა X-ის ლოკალიზება მოვახდინეთ, რომელი ურთიერთდაკავშირებული კითხვები გაჩნდა სხვადასხვა პერსპექტივიდან? პასუხები ამძაფრებს აღქმებს 4 გრადუსიდან, რმლებიც თავის მხრივ სრულ და ყოვლისმომცველ ურთიერთკავშირების პოვნისკენაა მიმართული. დასკვნები ყოვლის მომცველი პერსპექტივიდან წარმოიქმნება. რესურსებზე შეიძლება უკვე ისაუბრეთ, ემატება მომავლისადმი ყურების კუთხეც, დასასრულის კითხვები უნდა დამემატოს სურვილის შესახებ, რომელის გავლენა ნათელი და შესამჩნევი იქნება. ქოუჩისთვის მნისვნელოვანია: მოდელის (იხილეთ ქვემოთ) უკანა ფონის ცოდნა , რატა სიტუაციის აღწერისას წარმოიდგინოს და შესაბამისი კითხვები დასვას. შემდგომში შეხედოს, მოისმინოს და დაელოდოს, რა ფიქრებსა და იდეებს ამოუტივტივებს კლიენტს დასმული კითხვები, რათა შემდგომში ეს პუნქტები დაამუშოს. პოზიტიური პარალელური პროცესი შეიძლება წარმოიქმნას, თვითონ კარგი მსმენელი და ყურადღებიანი პარტნიორი გახდეს, რომელსაც საუბრის ნაწილები ზედმიწევნით ზუსტად მოსმენა შეძლებს, ყოველგვარი ინტერპრეტაციების და დეტლების შესახებ კითხვებს დაუსვამს, სიცხადეს შეჰმატებს და უკან არეკვლას შეძლებს.
ავტორი	ვერნერ ფოგელაუერი (კ.ო. შარმერის მიხედვით)
დამატებითი ლიტერატურა	W. Vogelauer: Die vier Felder der Aufmerksamkeit, in: Trigon-Themen. Nr. 2/2002, S. 6/7



ნახ. 12: ყურადღების 4 ველი (field structures of listening)

13	თემა	ქოუჩინგში ბალანსირების პროტოკოლი	A
ქოუჩის წინაპირობა		• მოდელი ბალანსირების პროტოკოლის საფუძვლების ცოდნა (grundlagenkentniss) • დამაკავშირებელი და კავშირების პოვნის უნარი • ganzheitliche პერსპექტივა და პროცესის ცოდნა	
მიზანი		• ქოუჩის წარმატების მრავალდიმენსიური გაზომვადობა • ქოუჩინგის პროცესის და შინაარსის კონტროლი • ქოუჩინგის პროცესის ერთობლივად გადამოწმების შესაძლებლობა	
საწყისი სიტუაცია		ქოუჩინგის კლიენტი (დამსაქმებელი ან მმართველი პირი თვითონ, პერსონალის განმავითარებელი, ქოუჩიის ზემდგომი პირს..) სურს ქუჩინგის სრული პროცესის განვითარების გადმოწმება. პროცესი მოიცავდა კომპლექსურ პრობლემისა და კითხვებს განსხვავებული უერტიერტკავშირებით, შესაბამისად სამუშაო და პიროვნულ დამოკიდებულებაში კომპლექსურია.	
ინდიკატორები		• ბუნდოვანი ნისლიდან ეფექტურობის გამოკვეთა • გაზმოვადობის სურვილი • წარმატების მასსტაბში არის დაურწმუნებელი, არის ამის “დასტური” საჭიროებისთვის • სურვილი “განათლების კონტროლის”	
მიდგომა		1. მიზნის შეთანხვების დროსვე ხდება ქუჩინგის პროცესის ბალანსირების პროტოკოლის პუნქტების ახსნა 2. კლიენტი ფრმულირებას ახდენს თემების ველის, მიზნების, უფრო ზუსტად ერთობლივად დგინდება, კონკრეტდება ორიენტირების მასშტაბი, ციფრები, თარიღები 3. შუა პერიოდში და დასასრულსი მონიტორინგი ხდება მოცემული და წინასწარ შეთანხმებული პროტოკოლის პუნქტების მიხედვით 4. განსხვავება უნდა და არის მდგომარეობას შორის რომელიც პროტოკოლის მიხედვით გამოჩნდება უნდა დამუშავდეს	
ავტორი		ვერნერ ფოგელაუერი (სუსან ალვერტზე დაყრდნობით)	
დამატებითი ლიტერატურა		S. Alwert: Wirschaft &Weiterbldung, Heft Januar 2003, Coachingerfolge messbar machen R.S. Kaplan/D.P. Norton: Balanced Scorecard, Boston/MA A. Kumpf: Balanced Scorecard in Praxis, Landsberg 2001	



ნახ. 13: ბალანსირების პროტოკოლი ქოუჩინგის პროცესში

